საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

წლიური ანგარიში
2009 წ.

სარჩევი

თავი I 4
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 4
კომისიის კანონისმიერი ვალდებულებები და კომპეტენცია 5
კომისიის ბიუჯეტი და ფინანსური რესურსები 7
თავი II 8
განხორციელებული სამუშაოები 8
დადგენილებები 8
გადაწყვეტილებები 9
ლიცენზირება 10
ლიცენზიის გაცემა 10
ლიცენზიის მოდიფიცირება 11
ლიცენზიის გაუქმება 11
ლიცენზიის გადაპირება 11
ლიცენზიის გადაცემა 12
ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება 13
აუქციონები 13
სანქცირება 14
დავები 14
ავტორიზაცია 27
რადიოსიხშირეების მართვა, მონიტორინგი და კოორდინაცია 27
ბაზრის კვლევა 32
მომხმარებელთა უფლებები 39
ქართულმა საკომუნიკაციო სექტორმა EBRD-ის მაღალი შეფასება მიიღო 43
თავი III 44
დაგეგმილი საქმიანობა 44
ციფრული მაუწყებლობა 44
ინტერნაციონალიზებული დომენური სახელების სწრაფი დანერგვის განხორციელების გეგმა ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენში 46
ნუმერაციის ახალი სისტემა 47
ნომრის პორტაბელურობა 48
თავი IV 49
ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების 49
ბაზრის განვითარების მიმოხილვა 49
ქვევით მოცემულია ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე მიღებული შემოსავლები 50
აღსანიშნავია, რომ კომისიის 2008 წლის ანგარიშში მოყვანილი ციფრები დაკორექტირებულია. შესაბამისად, გარკვეული სხვაობაა წინა წლის მონაცემებში 51
დარგის შემოსავლების წილი ეკონომიკის მთლიან შიდა პროდუქტში 51
მობილური ტელეფონია 51
ფიქსირებული ტელეფონია 55
საბითუმო მომსახურება 58

ინტერნეტ მომსახურება 59
მაუწყებლობა 60
თავი V 63
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 63
სტრატეგიული გეგმა 63
სტრატეგიული მიზნები 63

თავი I

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

მისია

საქართველოს მეგზური თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ერაში

ხედვა

- ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის განვითარება
- კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- საბაზრო ცვლილებებზე ადეკვატური რეაგირების მექანიზმის შექმნა
- საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა
- კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის მედიატორის როლის შესრულება
- საინვესტიციოდ მიმზიდველი და სტაბილური ბიზნეს გარემოს შექმნა

ფასეულობები:

ჩვენ გვჯერა, რომ:

- ელექტრონული კომუნიკაციების განვითარება ხელს უწყობს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ზრდას
- ღია და გამჭვირვალე ურთიერთობები ხელს უწყობს ბაზრის მონაწილეებსა და მომხმარებლებს შორის ნდობის გაღრმავებას
- გამჭვირვალე საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული რეგულირება და გადაწყვეტილების მიღებისას თანასწორუფლებიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვა არის ბაზარზე კონკურენციის განვითარების ხელშეწყობისა და ინოვაციების დამკვიდრების წინაპირობა
- ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება ხელს უწყობს მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას
- სტაბილური და პროგნოზირებადი გარემო ინვესტიციების მოზიდვის და ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საწინდარია
- რეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, ბაზარზე მიმდინარე პროცესების გათვალისწინება, მარტივი წესების დამკვიდრება შედეგიანობის მიღწევის საწინდარია
- შეზღუდული რესურსების ეფექტიანად განაწილება ელექტრონული კომუნიკაციების დარგში კონკურენციის განვითარების წინაპირობაა

კომისიის კანონისმიერი ვალდებულებები და კომპეტენცია

კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას, არეგულირებს საქმიანობას მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში.

კომისია თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით.

მაუწყებლობის სფეროში კომისია საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით ამუშავებს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებებს და ზედამხედველობს მათ განხორციელებას; ადგენს სალიცენზიო პირობებს, აგრეთვე ახდენს ლიცენზიების გაცემას, მოდიფიცირებას, ლიცენზიების მოქმედების შეჩერებას, განახლებასა და გაუქმებას; კანონით განსაზღვრული წესით ადგენს და ანაწილებს სიხშირულ სპექტრს; ანიჭებს სიხშირეებს; ზედამხედველობს ლიცენზიის მფლობელის მიერ მაუწყებლობის შესახებ, საავტორო და მომიჯნავე უფლებების, მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ და რეკლამის შესახებ საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებისა და სალიცენზიო პირობების შესრულებას; მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისა და სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელებს აკისრებს შესაბამის სანქციებს; ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს შექმნასა და განვითარებას, აგრეთვე ზედამხედველობს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესრულებას; განსაზღვრავს სალიცენზიო გადასახდელისა და რეგულირების საფასურის ოდენობასა და გადახდის წესს; თავისი უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს ლიცენზიის მფლობელთა შორის, აგრეთვე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხებს; ღებულობს სამართლებრივ აქტებს.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომისია დამოუკიდებლად ახორციელებს ავტორიზებული პირების საქმიანობისა და ლიცენზიის მფლობელების მიერ რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის რეგულირებას, მათ შორის, ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიღებას, მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს, გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, ამავე კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციების დაკისრებას. იგი უზრუნველყოფს ამ სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, შენარჩუნებასა და განვითარებას; უზრუნველყოფს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირების მიერ ბოლო მომხმარებლებისათვის ხარისხიანი მომსახურების

მიწოდებას, მათთვის მომსახურების ფართო არჩევანისა და სატარიფო ხელმისაწვდომობას; ხელს უწყობს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების მფლობელი ავტორიზებული პირების მიერ ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში ეფექტიანი ინვესტიციების განხორციელებას; ახორციელებს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაციას; უზრუნველყოფს ამოწურვადი რესურსის მართვასა და ეფექტურად გამოყენებას; ადგენს რადიოსიხშირული სპექტრის ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოპოვების გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულ პირობებს და წესებს, გასცემს და აუქმებს შესაბამის ლიცენზიებს; შესაბამისი ლიცენზიების გაცემა და გაუქმება; ატარებს მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კვლევასა და ანალიზს, განსაზღვრავს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით ამ კანონით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების აკისრებს და ახდენს მათ შესრულებაზე ზედამხედველობასა და კონტროლს; ახდენს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების სერტიფიცირებას; არეგულირებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტებთან დაშვებას ან/და ურთიერთჩართვის ტექნიკურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ ურთიერთობებს; თავისი უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ ავტორიზებულ პირთა შორის, მათსა და მომხმარებლებს შორის, აგრეთვე რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელთა შორის წარმოშობილ დავებს; ზედამხედველობს ავტორიზებისა და რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დაცვას და მათი დარღვევისას ატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს; კოორდინირებს რადიოელექტრონული საშუალებების ელექტრომაგნიტური თავსებადობისა და მისი საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის ღონისძიებებს; განსაზღვრავს სამოყვარულო რადიოკავშირის დამყარებისა და სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენების წესებს; წარმოადგენს საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებში და იცავს მის ინტერესებს საკუთარი უფლებამოსილებისა და საქართველოს მთავრობის მიერ დელეგირებული კომპეტენციის ფარგლებში.

კომისიის ბიუჯეტი და ფინანსური რესურსები

2009 წლის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები:

ა) დარიცხული შემოსავლები:

რეგულირების საფასური და სხვა შემოსავლები------4,547,140.42 ლარი;

ბ) საოპერაციო ხარჯები---------- 4,324,926.05 ლარი;

გ) ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯები---------- 225,417.90 ლარი;

(ფინანსური რეზერვის გარეშე)

2008 წლის ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, კომისიის შემოსავლების ხარჯებზე გადამეტება შეადგინა 3,203.53 ლარი.

თავი II

განხორციელებული სამუშაოები

დადგენილებები

2009 წელს განხორციელდა ორი საჯარო ადმინისტრაციული წარმოება კომისიის დადგენილებებში ცვლილება დამატებების შეტანის თაობაზე და ორი საჯარო ადმინისტრაციული წარმოება კომისიის დადგენილებების მიღების მიზნით. კერძოდ:

1. 2009 წლის 30 იანვარს მიღებულ იქნა კომისიის დადგენილება N1 „კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე." დადგენილებაში ცვლილების შედეგად დეტალურად განისაზღვრა ავტორიზებული პირების მიერ დაზიანების აღმოფხვრის პროცედურები.
2. 2009 წლის 12 მარტს მიღებულ იქნა დადგენილება N2 „"მაუწყებელთა ქცევის კოდექსის"დამტკიცების თაობაზე"; დადგენილების მიღების ვალდებულება კომისიისთვის დაკისრებული იყო „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე და 76-ე მუხლებით, ხოლო დადგენილების მიღება მიზნად ისახავდა ლიცენზიის მფლობელთა მიერ მომსახურების გაწევის მინიმალური სახელმძღვანელო წესების დადგენას;
3. 2009 წლის 30 ოქტომბერს მიღებულ იქნა დადგენილება N3 „კერძო (საერთო ან სპეციალიზებული) მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელთა და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო ბადეში არასახელმწიფო ენაზე წამოებული ფილმის პირველადი წარმოების ენაზე (ენებზე), საქართველოს სახელმწიფო ენაზე დუბლირების გარეშე, საქართველოს სახელმწიფო ენაზე სუბტიტრებით განთავსების წესის თაობაზე" დადგენილების მიღება განპირობებული იყო "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით. გამომდინარე იქიდან, რომ კანონის ზემოაღნიშნული ნორმა ითვალისწინებს მაუწყებლის ბადეში არასახელმწიფო ენაზე წარმოებული ფილმის პირველადი წარმოების ენაზე (ენებზე), საქართველოს სახელმწიფო ენაზე დუბლირების გარეშე, საქართველოს სახელმწიფო ენაზე სუბტიტრირებით განთავსების წესის განსაზღვრას კომისიის მიერ, აუცილებელი გახდა შესაბამისი დადგენილების პროექტის მომზადება. დადგენილება ითვალისწინებს მაუწყებლის მიერ სამაუწყებლო ბადეში არასახელმწიფო ენაზე წარმოებული ფილმის

პირველადი წარმოების ენაზე (ენებზე), საქართველოს სახელმწიფო ენაზე დუბლირების გარეშე, საქართველოს სახელმწიფო ენაზე სუბტიტრირებით განთავსების წესი.

4. 2009 წლის 20 ნოემბერს მიღებულ იქნა დადგენილება N4 "ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული დადგენილებით გასწორდა მხოლოდ ტექნიკური ხარვეზი (მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ჰ[2] ქვეპუნქტი).

გადაწყვეტილებები

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2009 წელს მიიღო სულ 714 გადაწყვეტილება, აქედან:

ლიცენზიის გაცემაზე	14
ლიცენზიის მოდიფიცირებაზე	10
ლიცენზიის გაუქმებაზე	2
ლიცენზიის გადაპირებაზე (აქედან ერთი გადაპირების გადაწყვეტილების მიღების გადადების შესახებ)	15
ლიცენზიის გადაცემაზე	6
ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე	8
სხვადასხვა სახის აუქციონის თაობაზე	27
განაცხადის განუხილველად დატოვებაზე	4
სიხშირეების მინიჭებაზე	297
კოდის მინიჭებაზე	1
დავების განხილვაზე	52
დღის წესრიგის დამტკიცებაზე	59
სანქცირებაზე	60
სხვა ადმინისტრაციულ წარმოებაზე	27
ბაზრის ცაკლეულ-სეგმენტების კვლევაზე	7
კომისიის ბიუჯეტისა და სხვადასხვა ანგარიშების დამტკიცებაზე	2
გადაწყვეტილებებში ცვლილებაზე	50
სხვადასხვა	73

ლიცენზირება

<u>ლიცენზიის გაცემა</u>

2009 წელს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო სულ 14 გადაწყვეტილება სხვადასხვა ტიპის პიცენზიის გაცემის შესახებ. აქედან შვიდი მათგანი წარმოადგენს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის, ექვსი რადიოსიხშირული სპექტრით სარგელობის და ერთი კერძო საერთო ტელემაუწყებლობის ლიცენზიას:

- № 52 შპს „მაქსტელი“-სთვის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა
- № 142 შპს „ახალი ქსელები“-სთვის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა
- № 161 შპს „ვიტელ ჯორჯია“-სთვის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა
- №200 შპს „აია +“-სთვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა
- №201 შპს „აისი +“-სთვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა
- №269 ფიზიკურ პირ ვალერი როსნასთვის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა
- №285 შპს “სტუდია მაესტრო”- სათვის თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების გამოყენებით კერძო საერთო ტელემაუწყებლობის ლიცენზიის გაცემა
- №442 შპს „რკინიგზის ტელეკომი“-სთვის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა
- №501 შპს „ალექს დეველოპმენტ ჯორჯია“-სთვის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა
- №519 სს „გლობალ ერთი“- სთვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა
- №520 ინდ.მეწარმე „ილო ლაბაძეს“- სთვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა
- №541 შპს „სუფსა ტექნოკომი“-სთვის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიების გაცემა
- №571 შპს „რეალტივი საქართველო“- სთვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა
- №670 სს „გლობალ ერთი“- სთვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა

ლიცენზიის მოდიფიცირება

2009 წელს, კომისიამ მიიღო სულ 20 გადაწყვეტილება სხვადასხვა ლიცენზიის მოდიფიცირების მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, განახლების და მოდიფიცირების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილებებიდან, ათი შეეხებოდა სხვადასხვა კომპანიის ლიცენზიის პირობების მოდიფიცირებას (აქედან უმრავლესი ტელე და რადიო კომპანიებია):

- № 52 შპს ”ფაივ ლაინს პროდაშენის” №B11 ლიცენზიის მოდიფიცირება
- № 62 შპს ,,რ- რადიოს ” №562 ლიცენზიის მოდიფიცირება
- № 63 შპს ,,ტელესამაუწყებლო კომპანია მეცხრე არხი -ს” №502 ლიცენზიის მოდიფიცირება
- № 64 შპს ,,ტელეკომპანია აისი” –ს №702 ლიცენზიის მოდიფიცირება
- № 136 შპს ”ფაივ ლაინს პროდაქშენის” №B11 ლიცენზიის მოდიფიცირება
- № 137 შპს ”ტელეკომპანია მზის” №B15 ლიცენზიის მოდიფიცირება
- № 163 შპს “კოლხეთი 89-ის” NB24 ლიცენზიის მოდიფიცირება
- № 244 შპს ”ევროპა პლიუს თბილისის” №B54 ლიცენზიის მოდიფიცირება
- № 389 შპს ”რადიო არტი”-ს (ყოფილი შპს ”23 მაისი”) №B52 ლიცენზიის მოდიფიცირება
- № 588 შპს ”ახალ ქსელების” ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №N144 და №N127 ლიცენზიების მოდიფიცირება

ლიცენზიის გაუქმება

კომისიამ 2009 წელს მიიღო ორი გადაწყვეტილება ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ (№ 500 და 659 გადაწყვეტილებები). ორივე შემთხვევაში, კომისიამ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო კომპანიების თხოვნის საფუძველზე.

ლიცენზიის გადაპირება

2008 წელს კომისიას 12-მა კომპანიამ მომართა ლიცენზიების გადაპირების შესახებ. კონკრეტულად:

- №59/5 შპს “ახალ ქსელებსა” და შპს “ახტელს” შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №N125 ლიცენზიის ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირება

- № 60 შპს ”აჭარის ელექტროკავშირსა” და სს ”გაერთიანებულ ტელეკომს” შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №N123 ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირება
- № 112/ ი/მ ”კონსტანტინე ამაშუკელსა” და შპს ”ახალი ქსელებს” შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №N130 ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირება
- №168/5 შპს ”საქართველოს ტელეკომს” და შპს ”მაგთიკომს” შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის N53 ლიცენზიის სრულად და N21 ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირება
- №223/5 შპს ”ახალ ქსელებს” და შპს ”ახტელს” შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №N142 ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირება
- №224/5 შპს ”საქართველოს ტელეკომსა” და შპს ”ქოლ ცენტრს” შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №N149 ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირება
- №238/5 შპს ”მაქსტელს” და შპს ”მაიფონს” შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №N143 ლიცენზიის პირდაპირი გადაპირება
- №465/5 შპს ”საბატელს” და შპს ”ვემატელს” შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №N12 ლიცენზიის პირდაპირი გადაპირება
- №540/5 შპს ”ახალ ქსელებს” და შპს ”ახტელს” შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №N151 ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირება
- №589/5 შპს ”ახალ ქსელებს” და ი/მ ”რომან გოგობერიშვილს” შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №N144, №N65 და №N127 ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირება
- №590/5 ი/მ ”პალუშა გიორგობიანსა” და შპს ”ახალ ქსელებს” შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №N129 ლიცენზიის პირდაპირი წესით გადაპირება
- №591/5 შპს ”ბროდბანდ 4 იუ”-სა და შპს ”მობიტელს” შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №N112 ლიცენზიის პირდაპირი გადაპირება
- № 632 ფიზიკურ პირ ვალერი როსნასა და შპს ”ტელმაქს”-ს შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №N152 ლიცენზიის პირდაპირი წესით გადაპირება
- №676/5 შპს ”რკინიგზის ტელეკომს” და შპს ”საქართველოს რკინიგზას”-ს შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №N153 ლიცენზიის გადაპირება

<u>ლიცენზიის გადაცემა</u>

კომისიის 5 გადაწყვეტილება შეეხებოდა კომპანიების მიერ ლიცენზიის გადაცემას (მათ შორის დროებით). აქედან სამი გადაწყვეტილება შეეხებოდა კერძო მაუწყებლობის ლიცენზიის გადაცემას:

- № 322 კერძო მაუწყებლობის NB16 ლიცენზიის გადაცემა
- № 357კერძო მაუწყებლობის №B72 ლიცენზიის გადაცემა
- 340 კერძო მაუწყებლობის NB16 ლიცენზიის გადაცემა
- №381კერძო მაუწყებლობის №B84 ლიცენზიის გადაცემა

№ 499 გადაწყვეტილებით მოხდა ორ კომპანიას შორის (”გუდვილკომი”-ს და შპს ”გაერთიანებულ საკომუნიკაციო და სადისტრიბუციო კომპანია”) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გადაცემა; ხოლო № 631 გადაწყვეტილებით კი კომპანიის მიმართვის საფუძველზე, აღნიშნული გადაწყვეტილება გამოცხადდა ძალადაკარგულად.

<u>ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება</u>

ლიცენზიის მოქმედების ვადა გაუგრძელდა:

1. შპს „საქტელკომ პლუსის“ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ერთ ლიცენზიას;
2. შპს „საქართველოს ტელეკომის“ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ერთ ლიცენზიას;
3. შპს „მაგთიკომის“ ექვს ლიცენზიას; (ნუმერაციის რესურსით სარგებლობის სამ და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის სამ ლიცენზია)
4. შპს „ჯეოსელის“ სამ ლიცენზიას (ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ორ და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ერთ)
5. სს „გაერთიანებული ტელეკომის“ ერთ ლიცენზიას.

მომზადდა კომისიის გადაწყვეტილების შვიდი პროექტი ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურმა შეადგინა - 76,631,638.49 ლარი.

<u>ლიცენზიის გაუქმება</u>

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში, ლიცენზიის მფლობელების მოთხოვნის საფუძველზე გაუქმდა ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ოთხი ლიცენზია (შპს „აი ქეი ოფ ჯორჯიას“ ერთი ლიცენზია და სს „გლობალ ერთის“ სამი ლიცენზია.

აუქციონები

2009 წლის განმავლობაში ორგანიზებულ იქნა ცამეტი აუქციონი, მათ შორის:

- რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად ჩატარებულ იქნა ოთხი აუქციონი; ხოლო
- ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად - ცხრა აუქციონი.

აუქციონებზე დაფიქსირებულმა ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურების ჯამმა შეადგინა - 232,944.40 ლარი;

სანქცირება

„მაუწყებლობის შესახებ“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონებისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დარღვევის გამო კომისიის მიერ მიღებულ იქნა ავტორიზებული და ლიცენზიის მფლობელ პირების სანქცირებასთან დაკავშირებული სულ 39 გადაწვეტილება. ხსენებული კანონების სხვადასხვა მუხლის დარღვევის გამო, გამოტანილი გადაწყვეტილებებიდან ცამეტი შეეხებოდა ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე მოქმედი 140 სხვადასხვა კომპანიის გაფრთხილებას; 28 გადაწყვეტილება მოიცავს სულ 20 კომპანიის დაჯარიმების საკითხს (ზოგიერთის რამდენჯერმე). აღნიშნულ 20 კომპანიაზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხული ჯარიმის ოდენობა 5 570 233 ლარია. აქედან 7 კომპანია (4 750 000 ლარი) რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ტელეკომპანიებია, რომლებიც უკანონო მაუწყებლობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე.

დავები

<u>დავები კომისიაში</u>

კომისიაში განხორციელდა ადმინისტრაციული წარმოება ავტორიზებულ პირებს შორის, ასევე ავტორიზებულ პირებსა და მომხმარებლებს შორის დავის განხილვასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მიღებული იქნა 23 გადაწყვეტილება. კერძოდ, განხილული იქნა დავები შემდეგ ავტორიზებულ პირებს (ავტორიზებულ პირებსა და მომხმარებლებს) შორის:

1. **შპს „ინფოტელსა“ და სს „გაერთიანებულ ტელეკომს“ შორის ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.** დავა დამთავრდა მხარეთა მორიგებით.
2. **სს „გაერთიანებულ ტელეკომსა“ და შპს „კავკასიის ციფრულ ქსელებს“ შორის კომისიის 2005 წლის 21 ოქტომბრის №656/22 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობასა და საკაბელო შახტებთან დაშვების შეზღუდვასთან დაკავშირებით.** შპს „კავკასიის ციფრული ქსელების“ განცხადება არ დაკმაყოფილდა. ამავე დროს, სს „გაერთიანებულ ტელეკომსა“ და შპს “კავკასიის ციფრულ ქსელს” მიეცათ წინადადება დროულად გაეფორმებინათ სს „გაერთიანებული ტელეკომის“ ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების შესახებ ხელშეკრულება, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით განსაზღვრული წესითა და პირობებით;
3. **შპს „კავკასიის ციფრულ ქსელსა“ და სს „გაერთიანებულ ტელეკომს“ შორის, შპს „კავკასიის ციფრულ ქსელსა“ და სს „გაერთიანებულ ტელეკომს“ შორის**

აპარატურასთან ტექნიკური პერსონალის დაშვების შეზღუდვასთან დაკავშირებით. შპს "კავკასიის ციფრული ქსელის" განცხადება არ დაკმაყოფილდა. ამავე დროს, სს „გაერთიანებულ ტელეკომსა" და შპს "კავკასიის ციფრულ ქსელს", მიეცათ წინადადება დროულად გაეფორმებინათ თანალოკაციის ფართებთან დაშვების თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულება, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით განსაზღვრული წესითა და პირობებით;

4. **შპს „კავკასიის ციფრულ ქსელსა" და სს „გაერთიანებულ ტელეკომს" შორის სააბონენტო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების შეზღუდვასთან დაკავშირებით.** შპს "კავკასიის ციფრული ქსელის" განცხადება არ დაკმაყოფილდა. ამავე დროს, სს „გაერთიანებულ ტელეკომსა" და შპს "კავკასიის ციფრულ ქსელს", მიეცათ წინადადება დროულად გაეფორმებინათ სააბონენტო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების შესახებ ხელშეკრულება, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით განსაზღვრული წესითა და პირობებით;
5. **საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მომართვის საფუძველზე, ერთი მხრივ, მოქალაქის რ. ნაკუდაიძესა და მეორე მხრივ, სს "გაერთიანებული ტელეკომს" შორის ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.** დავა დასრულდა მხარეთა მორიგებით, კომისიის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
6. **შპს "მაგთიკომსა" და შპს "მაქსტელს" შორის ურთიერთჩართვასთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელის მიერ ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.** არ დაკმაყოფილდა შპს „მაგთიკომის" განცხადება, შპს „მაქსტელისთვის" 2009 წლის აპრილის თვეში ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით საოქმო გადაწყვეტილებაზე ხელმოწერისა და ანგარიშსწორების დავალდებულების შესახებ, ასევე უარი ეთქვა შპს „მაგთიკომს", შპს „მაქსტელთან" არსებული ურთიერთჩართვის შეჩერებაზე თანხმობის მიცემაზე;
7. **შპს „კავკასუს ონლაინსა" და სს „გაერთიანებულ ტელეკომს" შორის ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან, სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან და თანალოკაციის ფართთან დაშვების ხელშეკრულებათა გაფორმებასთან დაკავშირებით.** დავის განხილვა დასრულდა მორიგებით, კერძოდ, მხარეების მიერ გაფორმებულ იქნა შესაბამისი ხელშეკრულებები.
8. **შპს „კავკასიის ციფრულ ქსელსა" და სს „გაერთიანებულ ტელეკომს" შორის სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტა) 3.1 მუხლთან დაკავშირებით.** აღნიშნული დავის განხილვასთან მიმართებაში ადმინისტრაციული წარმოება შეჩერდა კომისიის მიერ ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კვლევისა და ანალიზის ჩატარებამდე.
9. **ერთი მხრივ შპს „მაგთიკომს" და მეორე მხრივ სს „გაერთიანებულ ტელეკომს", შპს „ახალ ქსელებს" და შპს „ახტელს" შორის შპს „მაგთიკომის" მიერ დადგენილ ტარიფთან დაკავშირებით.** აღნიშნული დავის

განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება შეჩერდა კომისიის მიერ ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კვლევისა და ანალიზის ჩატარებამდე.

10. **საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მომართვის საფუძველზე, ერთი მხრივ, მომხმარებელ ე.რამიშვილსა და მეორე მხრივ, შპს "საქართველოს ტელეკომს" შორის, ამ უკანასკნელის მიერ მომხმარებლისთვის საერთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურების გაწევასთვის დარიცხულ ტარიფთან დაკავშირებით.** მომხმარებელ ე.რამიშვილის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.
11. **საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მომართვის საფუძველზე, ერთი მხრივ, საქართველოს დიპლომატიური აკადემიასა, გ. გონაშვილს და მეორე მხრივ, შპს "კავკასუს ონლაინის" შორის, ამ უკანასკნელის მიერ მომხმარებლისთვის ინტერნეტ მომსახურების შეწყვეტასთან დაკავშირებით.** ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში მომართვის საფუძველზე. მომხმარებელს აღუდგა ინტერნეტ მომსხურება და ამავე დროს შპს „კავკასუს ონლაინს" მიეთითა, რომ უნდა გააუმჯობესოს მომხმარებლებთან ურთიერთობის სერვისი, შექმნას საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმი და დროულად უზრუნველყოს დაზიანებების აღმოფხვრა.

<u>სასამართლო დავები</u>

2009 წელს კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრების გამო სასამართლოში მიმდინარე დავების რაოდენობამ შეადგინა - 46.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

- ავტორიზებული პირებისათვის და ლიცენზიის მფლობელებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ - 14 საქმე;
- ავტორიზებულ პირებს შორის დავის განხილვის შესახებ- 22 საქმე;
- კომისიისათვის თანხის დაკისრების და ქმედების განხორციელების შესახებ-3 საქმე;
- ლიცენზიის გაუქმების - 4 საქმე;
- კომისიაში ჩატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ-1 საქმე;
- ავტორიზებული პირის გადახდისუუნარობის შესახებ -1 საქმე;
- მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ - 1 საქმე;

1. ***მოსარჩელე*** *- შპს ,,ოპტიკურ - ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი",* ***მოპასუხე*** *- კომისია,* ***მესამე პირი*** *- სს ,,გაერთიანებული ტელეკომი";* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2008 წლის 19 სექტემბრის №538/16 გადაწყვეტილება " სს "გაერთიანებული ტელეკომს" და შპს ,,ოპტიკურ - ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტნეტს" შორის დავის განხილვის შესახებ" (ფოთში დაშვება)*

   შედეგი: საქმე დამთავრდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 02 ნოემბრის გადაწყვეტილებით კომისიის გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა ძალაში.

2. ***მოსარჩელე*** *- სს "საქართველოს ტელეკომი",* ***მოპასუხე****-კომისია;* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2008 წლის 4 ივლისის №384/23 გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი, რომლითაც კომისიამ სს" გაერთიანებულ ტელეკომს" დააკისრა 2000 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა.*

   შედეგი: საქმე დამთავრდა. სარჩელი არ დაკმაყოფილდა და კომისიის გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული სს "გაერთიანებული ტელეკომის" საკასაციო საჩივარი.

3. ***მოსარჩელე*** *- შპს" ახალი ქსელები" და შპს "ფოპტნეტი",* ***მოპასუხე****-კომისია;* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2008 წლის 15 აგვისტოს №475/9 გადაწყვეტილება, "ელექტრონულ საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომახურების ბაზრის სეგმენტზე სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიისთვის" ხარჯებზე ორიენტირებული ზღვრული ტარიფების განსაზღვრისა და 2005 წლის 21 ოქტომბრის №656/22 და 2007 წლის 17 აპრილის №191/9 გადაწყვეტილებებით განსაზღვრული სპეციფილური ვალდებულებების პირობების დაკონკრეტების შესახებ".*

   შედეგი: საქმე დამთავრდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეებმა სასამართლო გადაწყვეტილება გასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოში, სადაც საქმის წარმოება შეწყდა მათ მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო.

4. ***მოსარჩელე*** *- შპს ,,საბატელი",* ***მოპასუხე*** *- კომისია,* ***მესამე პირი-*** *შპს ,,აჭარის ელექტროკავშირი";* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2007 წლის 30 ნოემბრის №716/16 გადაწყვეტილება შპს "აჭარის ელექტროკავშირისთვის" შპს "საბატელთან" გაფორმებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულების შეჩერებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე".*

შედეგი: საქმე დამთავრდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 01 იანვისის გადაწყვეტილებით კომისიის გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა ძალაში.

5. ***მოსარჩელე*** *- შპს ,,საბატელი",* ***მოპასუხე*** *- კომისია,* ***მესამე პირი-*** *შპს ,,აჭარის ელექტროკავშირი",* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2008 წლის 04 დეკემბრის №723/16 და 2008 წლის 12 დეკემბრის № 737/16 გადაწყვეტილება " შპს "აჭარის ელექტროკავშირისთვის" შპს "საბატელთან" გაფორმებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულების შეჩერებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე".*

   შედეგი: საქმე დამთავრდა. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 03 აგვისტოს განჩინებით სარჩელი დარჩა განუხილველი (მოსარჩელემ გამოიხმო სარჩელი).

6. ***მოსარჩელე*** *- შპს "რადიო კომერსანტი",* ***მოპასუხე*** *-კომისია;* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2009 წლის 10 ივლისის №325/18 გადაწყვეტილების "შპს რადიო კომერსანტის" 5000 ლარით დაჯარიმების შესახებ".*

   შედეგი: საქმე დამთავრდა. მოსარჩელემ გამოიხმო სარჩელი და ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინებით სარჩელი დარჩა განუხილველი.

7. ***მოსარჩელე*** *- შპს ,,ოპტიკურ - ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი",* ***მოპასუხე*** *- კომისია,* ***მესამე პირი*** *- სს ,,გაერთიანებული ტელეკომი";* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2008 წლის 04 დეკემბრის №715/16 გადაწყვეტილება " შპს ,,ოპტიკურ- ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი"-სთვის" ქმედების განხორციელების დავალების შესახებ"* (ფოთში დაშვებიდან გამომდინარე აღსრულების უზრუნველყოფის საკითხი).

   შედეგი: საქმე განხილულია პირველი და სააპელაციო სასამართლოს მიერ, კომისიის გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა ძალაში. საქმე დამთავრებული არ არის და ექვემდებარება საკასაციო წესით გასაჩივრებას.

8. ***მოსარჩელე*** *- შპს ,,ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი" ,* ***მოპასუხე*** *- კომისია,* ***მესამე პირი*** *- სს ,,გაერთიანებული ტელეკომი",* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2009 წლის 31 ივლისის № 362/22 გადაწყვეტილება " შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტის" სანქციერებისა და კომისიის 2008 წლის 19 სექტემბრის №538/16 და 2008 წლის 04 დეკემბერის №715/18 გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ" (ფოთში დაშვება - აღსრულება-გაფრთხილება).*

   შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქმე დამთავრებული არ არის და ექვემდებარება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებას.

9. ***მოსარჩელე*** *- შპს ,,ოპტიკურ - ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი",* ***მოპასუხე*** *- კომისია,* ***მესამე პირი*** *- სს,,გაერთიანებული ტელეკომი";* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2009 წლის 30 ოქტომბრის 567/16 გადაწყვეტილება "შპს ,,ოპტიკურ - ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტისათვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ"* (ფოთში დაშვება- აღუსრულებლობა-ჯარიმა 71 256 ლარი).

შედეგი:თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქმე დამთავრებული არ არის და ექვემდებარება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებას.

10. ***მოსარჩელე*** *- სს "საქართველოს ტელეკომი",* ***მოპასუხე*** *- კომისია,* ***მესამე პირი*** *- შპს "მაგთიკომი";* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2008 წლის 1 აგვისტოს №460/16 გადაწყვეტილება - "ერთი მხრივ, შპს "მაგთიკომსა" და მეორე მხრივ, სს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას", სს "ეგრისს" და შპს "ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს"-ს შორის დავის განხილვის შესახებ".*

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქმე დამთავრებული არ არის და ექვემდებარება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებას.

11. ***მოსარჩელე*** *- შპს"ახალი ქსელები",* ***მოპასუხე*** *-კომისია;* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2008 წლის №385/18 გადაწყვეტილება "შპს "ახალი ქსელების" დაჯარიმების შესახებ" (ჯარიმა-10 000 ლარის ოდენობით).*

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში და საქმე დამთავრებული არ არის.

12. ***მოსარჩელე*** *- შპს" კავკასუს ონლაინი",* ***მოპასუხე****-კომისია;* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2005 წლის 27 დეკემბრის №808/22 გადაწყვეტილება "მომსახურების გაზრის სეგმენტის - აბონენტის ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ".*

შედეგი: ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 06 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში და საქმე დამთავრებული არ არის.

13. ***მოსარჩელე****- შპს"კავკასუს ონლაინი",* ***მოპასუხე****-კომისია;* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2008 წლის 12 სექტემბერი №522/18 გადაწყვეტილება " შპს "კავკასუს ონლაინი"-ს გაფრთხილების თაობაზე".*

შედეგი: ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 07 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს

გადაწყვეტილება ექვემდებარება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებას და საქმე დამთავრებული არ არის.

14. *მოსარჩელე - შპს" კავკასუს ონლაინი", **მოპასუხე**-კომისია; **დავის საგანი** - კომისიის 2007 წლის 26 ოქტომბრის №637/16 გადაწყვეტილება "ერთი მხრივ, შპს" კავკასუს ონლაინსა" და მეორე მხრივ, შპს"ახალ ქსელებსა" და შპს"ახტელს" შორის დავის განხილვის თაობაზე.*

შედეგი: ქ.თბილისის საქალაქო და ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია შპს "კავკასუს ონლაინის" მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში და საქმე დამთავრებული არ არის.

15. *მოსარჩელე შპს ,,კავკასუს ონლაინი", **მოპასუხე**-კომისია, **მესამე პირები** - სს ,,გაერთიანებული ტელეკომი" შპს ,,კავკასიის ციფრული ქსელი", შპს "სისტემ ნეტი"; **დავის საგანი** - კომისიის 2007 წლის 17 აგვისტოს №469/16 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის გათილად ცნობა (ნულოვანი სალდირება).*

შედეგი: ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი კომისიის გადაწყვეტილება. სასამართლოს გადაწყვეტილება კომისიის მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში და საქმე დამთავრებული არ არის.

16. *მოსარჩელე - შპს" კავკასუს ონლაინი", **მოპასუხე** -კომისია; **დავის საგანი** - კომისიის 2007 წლის 3 აგვისტოს №432/9 გადაწყვეტილება "*ADSL და DSL ტექნოლოგიით ინტერნეტის მიწოდებისათვის სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების ზედა ზღვრული ტარიფის დადგენის თაობაზე".

შედეგი: ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 ივნისის და ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია შპს "კავკასუს ონლაინის" მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში და საქმე დამთავრებული არ არის.

17. *მოსარჩელეები - ილია ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგთა კავშირი და გიორგი ყიფიანი, **მოპასუხე**- კომისია; **დავის საგანი** -კომისიის 2005 წლის 16 დეკემბრის №775/22 გადაწყვეტილება "მართლმადიდებელ მშობელთა გაერთიანების, მეფე დავით აღმაშენებელის სახელობის კავშირის, ილია ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგთა კავშირისა და მოქალაქე გ. ყიფიანის განცხადებების საჯარო (ზეპირი) მოსმენის წესით განხილვის შესახებ".*

შედეგი: ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს

გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში და საქმე დამთავრებული არ არის.

18. ***მოსარჩელე*** *- დავით ებრალიძე,* ***მოპასუხეები*** *-კომისია და კომისიის თავმჯდომარე;* ***დავის საგანი*** *-სასამართლოს მიერ მოსარჩელის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანების გამოცემა, ქმედების განხორციელება (განაცდურის ანაზღაურება).*

შედეგი: ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში და საქმე დამთავრებული არ არის.

19. ***მოსარჩელე*** *- გიორგი ფრუიძე,* ***მოპასუხე*** *-კომისია;* ***დავის საგანი*** *-ქმედების განხორციელება (მიუღებელი პრემიები და სხვა ზიანი).*

შედეგი: ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში და საქმე დამთავრებული არ არის.

20. ***მოსარჩელე*** *- მეგა -TV,* ***მოპასუხე*** *-კომისია;* ***დავის საგანი*** *-კომისიის 2009 წლის 29 მაისის №264/16 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი (გაფრთხილების თაობაზე).*

შედეგი: ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში და საქმე დამთავრებული არ არის.

21. ***მოსარჩელე*** *- შპს ,,საბატელი",* ***მოპასუხეები*** *- კომისია და შპს ,,აჭარის ელექტროკავშირი";* ***დავის საგანი*** *- ზიანის ანაზღაურება.*

შედეგი: ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის წარმოება შეჩერდა.

22. ***მოსარჩელე*** *- ღია სს "მეგაფონი",* ***მოპასუხე-*** *კომისია;* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2008 წლის 9 სექტემბრის №526/18 გადაწყვეტილება " ღია სს"მეგაფონისათვის" 500 000 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრების თაობაზე".*

შედეგი: ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში და საქმე დამთავრებული არ არის.

23. ***მოსარჩელე*** *- შპს "ცენტრ პოინტ ჯგუფი",* ***მოპასუხე-*** *კომისია;* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2008 წლის 9 სექტემბრის №526/18 გადაწყვეტილება " ღია*

სს"მეგაფონისათვის" 500 000 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრების თაობაზე".

შედეგი: საქმე დამთავრებული არ არის. საქმეს განიხილავს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლო.

24. ***მოსარჩელე*** *- შპს "ტელევიზია კახეთი",* ***მოპასუხე-*** *კომისია;* ***დავის საგანი*** *- კომისიის 2009 წლის 18 ნოემბრის №5613/18 გადაწყვეტილება "შპს "ტელევიზია კახეთისათვის" 5000 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრების თაობაზე".*

შედეგი: საქმე დამთავრებული არ არის. საქმეს განიხილავს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლო.

25. **განმცხადებელი** - შპს "ალკომი", **კრედიტორები** -კომისია, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; **დავის საგანი**-შპს "ალკომის" გაკოტრება

შედეგი: საქმე დამთავრებული არ არის. საქმეს განიხილავს ქ.ქუთაისის საქალაქო სასამართლო.

26. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,ტელერადიოკომპანია ,,რიონი"* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, შპს ,,მეგა ტვ".* ***მესამე პირები:*** *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 29 სექტემბრის №264/16 გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება (შპს ,,მეგა ტვ -ის" დარღვევების გამო სანქცირება)*

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

27. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,ტელეკომპანია ობიექტივი - 2"* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 21 მარტის № 158/4 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (საქმეზე 33/1233-06).(მოითხოვა ლიცენზიის გაუქმება)*

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

28. ***მოსარჩელე:*** *ი/მ ,,პალუშა გიორგობიანი" და შპს ,,ახალი ქსელები".* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 11 სექტემბრის №445/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (გადაპირების ხელშეკრულება).*

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს ,,ახალი ქსელებისა" და ი/მ ,,პალუშა გიორგობიანის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

29. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,კავკასუს ონლაინი"* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ოქტომბრის № 503/18 გადაწყვეტილების მე-2 და მე-4 პუნქტების ბათილად ცნობა (დაჯარიმდა 90000 ლარით).*

შედეგი: სამართალწარმოება მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

30. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,კავკასუს ონლაინი"* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;* ***დავის საგანი:*** *კომისიის 2008 წლის 28 თებერვლის №41/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (1 გბიტ/წმ -ის გამტარუნარიანობის არხის ორგანიზება).*

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 5 იანვრის განჩინებით სამართალწარმოება შეჩერებულია სხვა საქმის განხილვამდე.

31. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,კავკასუს ონლაინი";* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 17 ოქტომბრის №605/9 გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის ბათილად ცნობა. (ურთიერთჩართვის ზედა ზღვრული ტარიფი 5000 ლარი).*

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით შპს ,,კავკასუს ონლაინის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

32. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,კავკასუს ონლაინი".* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 30 მაისის №294/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (ურთიერთჩართვის სიმძლავრის 1-დან 2მგბ გაზრდა).*

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს ,,კავკასუს ონლაინის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

33. ***მოსარჩელე:*** *სს ,,ეგრისი", შპს ,,ქართული სატელეფონო კომპანია GTS"* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია* ***მესამე პირები:*** *,,საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია", შპს ,,მაგთიკომი";* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 1 აგვისტოს №460/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (ურთიერთჩართვის მომსახურების ტარიფი ძალაში შესვლა*

ოფერტის გამოქვეყნებიდან 10-დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 15 მაისისა).

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით *სს ,,ეგრისის", შპს ,,ქართული სატელეფონო კომპანია GTS"-ის* სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

34. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,ახალი ქსელები" და შპს ,,ახტელი"* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია* ***მესამე პირები:*** *შპს ,,მაგთიკომი";* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 31 ოქტომბრის №646/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (15 თეთრიანი ტარიფი "მაგთიფიქსის" აბონენტებთან, ახალი ქსელების 28.5)*

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

35. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,კომუნიკაციების საკონსულტაციო ჯგუფი"* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 25 სექტემბრის №466/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (დაჯარიმება 10000 ლარი)*

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

36. ***მოსარჩელე:*** *ე.რამიშვილი* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 30 ოქტომბრის №568/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.*

შედეგი: სამართალწარმოება მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

37. ***მოსარჩელე:*** *ეკოლოგიური ასოციაცია ,,ადამიანი და ბიოსფერო"* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2004 წლის 27 აგვისტოს №430/22 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (საქმეზე 3/2233-06) (ლიცენზიის გაუქმება).*

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 მაისის განჩინებით სამართალწარმოება შეჩერდა სხვა საქმის განხილვამდე.

38. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,ტელეკომპანია მზე"* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;* ***დავის საგანი:*** *საქართველოს*

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 5 იანვრის №15/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (დაჯარიმება).

შედეგი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ნოემბრის განჩინებით შპს ,,ტელეკომპანია მზის" მოთხოვნის საფუძველზე შეწყდა სააპელაციო წარმოება.

39. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,ინფოტელი"* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 10 მარტის №118/16 და №119/16 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა (საქმე 3/886-08) (დავალიანების გამო ურთიერთჩართვის შეჩერება).*

შედეგი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 აპრილის განჩინებით შპს ,,ინფოტელის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

40. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიიკაციის ქსელი - ფოპტნეტი"* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 14 აგვისტოს № 394/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (შპს ,,ფოპტნეტის" დაჯარიმება 30000 ლარი).*

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ნოემბერის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქმის განხილვა მიმდინარეობს სააპელაციო სასამართლოში.

41. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,ახალი ქსელები" და შპს ,,ახტელი".* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.* ***მესამე პირები:*** *შპს ,,მაგთიკომი";* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 9 დეკემბრის №725/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (საოქმო გადაწყვეტილების ხელმოწერაზე უარი, აისახოს არ შემდგარი ტრაფიკი).*

შედეგი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისის განჩინებით შპს ,,ახალი ქსელების" და შპს ,,ახტელის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

42. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,ახალი ქსელები" და შპს ,,ახტელი"* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია* ***მესამე პირები:*** *შპს ,,მაგთიკომი", ,,საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია";* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიოს 2008 წლის 19 სექტემბრის №534/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (მაგთიფიქსი).*

შედეგი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით შპს ,,ახალი ქსელებისა" და შპს ,,ახტელის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

43. ***მოსარჩელე:*** *სს ,,გაერთიანებული ტელეკომი"* ***მოპასუხე****: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია* ***მესამე პირები:*** *შპს ,,ახალი ქსელები" და შპს ,,ახტელი";* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 14 მარტის №122/16 გადაწყვეტილების გათილად ცნობა. (დაშვება კაბელის ამოღების მიზნით)*
შედეგი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ნოემბრის განჩინებით სს ,,გაერთიანებული ტელეკომის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

44. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,ევროპა"* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;* ***დავის საგანი:*** *კომისიის 2004 წლის 10 სექტემბრის №462/4 გადაწყვეტილება (შპს ,,ევროპის" ლიცენზიის გაუქმება)*
შედეგი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 3 ოქტომბერის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

45. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,საქართველოს ხმა"* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 23 თებერვლის №96/4 გადაწყვეტილების გათილად ცნობა (3 თვეზე მეტი ვადით საქმიანობის შეწყვეტა).*
შედეგი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინებით დაუშვებლად სცნო შპს ,,საქართველოს ხმის" საკასაციო საჩივარი.

46. ***მოსარჩელე:*** *შპს ,,სამაუწყებლო კომპანია ,,ჰერეთი"* ***მოპასუხე:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;* ***დავის საგანი:*** *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 11 დეკემბრის № 757/18 გადაწყვეტილების გათილად ცნობა. (საქმე 3/244-08-ლიცენზიის გარეშე მაუწყებლობა 144[1]).*
შედეგი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის განჩინებით შპს ,,ჰერეთის" საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

ავტორიზაცია

2009 წელს, ავტორიზაცია გაიარა 45 იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა შემდეგ მომსახურებებზე (ერთი და იგივე კომპანია ავტორიზაციას გადის ერთ ან რამდენიმე მომსახურებაზე):

1. ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურება- 20
2. ინტერნეტით მომსახურება- 22
3. საკაბელო სატრანზიტო ტელემაუწყებლობა- 25
4. საერთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურება- 20
5. მობილური საკომუნიკაციო მომსახურება - 10
6. საქალაქთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურება - 20
7. სამაუწყებლო მომსახურება - 5
8. საკაბელო სატრანზიტო რადიომაუწყებლობა - 13
9. სხვა საკომუნიკაციო მომსახურება - 9

კომისიას ავტორიზაციის გაუქმების თხოვნით მომართა 36 იურიდიულმა პირმა და 8 ინდივიდუალურმა მეწარმემ. სეგმენტების მიხედვით გაუქმებული დეკლარაციები შემდეგნაირად ნაწილდება:

1. ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურება- 14
2. ინტერნეტით მომსახურება- 21
3. საკაბელო სატრანზიტო ტელემაუწყებლობა- 16
4. საერთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურება- 16
5. მობილური საკომუნიკაციო მომსახურება - 5
6. საქალაქთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურება - 12
7. სამაუწყებლო მომსახურება - 2
8. საკაბელო სატრანზიტო რადიომაუწყებლობა - 6
9. სხვა საკომუნიკაციო მომსახურება - 2

გაუქმებული ავტორიზაციების ანალიზიდან ირკვევა, რომ 16 კომპანიას საერთოდ არ დაუწყია პრაქტიკული საქმიანობა, 5 კომპანიამ საქმიანობა შეწყვიტა ფინანსური კრიზისის გამო, ხოლო ერთი კომპანია, კერძოდ შპს "ტექნო-მედია", შეერწყა შპს "ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპს", რომელმაც ელექტრონული კომინიკაციების ბაზარზე შპს "ტექნო მედიას" ადგილი დაიკავა.

რადიოსიხშირეების მართვა, მონიტორინგი და კოორდინაცია

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში არსებობს რადიოსიხშირეთა მართვის, მონიტორინგის და კოორდინაციის დეპარტამენტი, რომელიც სისტემატურად ახორციელებს შესაბამის საქმიანობას. მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე სიხშირეთა გამოყენების, სამაუწყებლო ან სხვა დანიშნულების

მაღალსიხშირული მოწყობილობების მიერ წარმოქმნილ ხელშეშლებთან ან ელექტრომაგნიტურ შეუთავსებლობასთან დაკავშირებით საკითხების განხილვას და ტექნიკური დასკვნების მომზადებას, ელექტრომაგნიტურ გარემოში გამომსხივებელი მაღალსიხშირული მოწყობილობების თავსებადობის პირობების დასაცავად მონიტორინგს და პროგრამული უზრუნველყოფით შესრულებული გათვლების საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, მონიტორინგის შედეგების (გამომსხივებელი წყაროს სპექტრალური, რაოდენობრივი, ხარისხობრივი და სხვა პარამეტრები) ტექნიკურ ანალიზს, აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას, შეფასებას და რეაგირების აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას (ტექნიკური დასკვნა, რეკომენდაცია) თანამედროვე ტექნოლოგიებისა და არხთწარმოქმნის პრინციპების გათვალისწინებით რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებით ლიცენზიების გაცემისთვის და რადიოსარელეო ხაზების დაგეგმარებისთვის სიხშირული ზოლების განაწილებას.

კომისიაში მოქმედი რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტი საქმიანობს სამი ძირითადი მიმართულებებით:

- რადიოსიხშირული რესურსების მართვა;
- რადიოსიხშირეთა კოორდინაცია,
- რადიომონიტორინგი და რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის პირობების მონიტორინგი.

<u>2009 წელს რადიოსიხშირული სპექტრის კოორდინაციის მიმართულებით შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი</u>

- ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) ახალი ელექტრონული კომპიუტერული პროგრამა WISFAT-ის გამოყენებით, დაიწყო საკოორდინაციო პროცედურების განხორციელება Geneva 06-ის გეგმაში საქართველოსთვის გამოყოფილი ციფრული სამაუწყებლო სადგურების (მე-10, 50-ე და 58-ე სატელევიზიო არხები) მოდიფიცირებასთან დაკავშირებით. მიღწეული იქნა შეთანხმებები თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის ადმინისტრაციებთან. მონაცემები საჭიროებს შეთანხმებას რუსეთის (მე-10 სატელევიზიო არხი) და ირანის (მე-10 და 58-ე სატელევიზიო არხები) ადმინისტრაციებთან, რაც ხორციელდება Geneva 06-ის გეგმით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.
- კომისიამ მონაწილეობა მიიღო რადიოკავშირის მსოფლიო კონფერენციის (WRC 2012) მოსამზადებელ პერიოდში, CEPT-ის წევრ ქვეყნებთან ერთად, ევროპის ქვეყნების საერთო წინადადების მომზადებაში;
- WG FM-ის შეხვედრებისთვის მომზადებული და გაგზავნილი იქნა მონაცემები WG FM-ის კითხვარებსა და საკონსულტაციო პროექტებზე, რომლებიც, წარდგენილი იქნა აღნიშნული შეხვედრების მიმდინარეობისას. ამ შეხვედრებზე მიღწეული იქნა შეთანხმება WG FM-

თან 2012 წელს შეხვედრის საქართველოში ჩატარებასთან დაკავშირებით, რაც იქნება როგორც ქვეყნის პრესტიჟი, ასევე დიდი გამოცდილება რადიოსიხშირული სპექტრის რეგულირების საკითხებთან მიმართებაში.

- კომისია მონაწილეობდა "ECA table" ერთიანი ევროპის ჰარმონიზებული სიხშირული ბადის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, რომელსაც დიდი ყურადღება ეთმობა WG FM-ის მიერ.
- კომისიაში განხილული იქნა და გაეგზავნათ პასუხები რუსეთის ფედერაციიდან (ITU-ს მეშვეობით), უკრაინიდან, თურქეთის რესპუბლიკიდან, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან შემოსულ მოთხოვნილ საკოორდინაციო პროცედურებთან დაკავშირებით. სიხშირეთა კოორდინაცია განხორციელებული იქნა ITU-ს რადიო-რეგლამენტით (RR) გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.
- CEPT-ის რეკომენდაციებისა და რეზოლუციების გათვალისწინებით, დაწყებულია რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ პროექტები (რადიოსამოყვარულო კავშირები, მცირე რადიუსის გასხივების მქონე ხელსაწყოები და სხვა).
- კომისიამ მონაწილეობა მიიღო, ქ. შტუტგარტში (გერმანია) CEPT-ის სიხშირული მართვის შემსწავლელი ჯგუფის (WG FM) საპროექტო ჯგუფის FM PT 45 მორიგ შეხვედრაში. ამ ჯგუფის მუშაობა უშუალოდ შეეხება ციფრულ მაუწყებლობასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. შეხვედრის მიმდინარეობისას შესწავლილი ციფრული მაუწყებლობის დაგეგმარების კომპიუტერულ პროგრამები გამოყენებული იქნება ვაისბადენის (WI95revCO07) და მაასტრიხტის (MA02revCO07) შეთანხმებების გეგმებზე მუშაობის პროცესში.

<u>2009 წელს რადიოსიხშირული სპექტრის რესურსების მართვის და მონიტორინგის მიმართულებით შესრულებული სამუშაოები:</u>

- განხორციელდა ათეულობით სიხშირული დაგეგმარება, პროგრამული უზრუნველყოფების EDX და ATDI გამოყენებით, რომლის გათვალისწინებითაც დადგინდა თავისუფალი სიხშირული რესურსი და კომისიამ კონკურსის სახით განახორციელა ლიცენზიების გაცემა როგორც სამაუწყებლო ასევე სხვა სახის რადიოქსელების ფუნქციონირებისათვის.
- რადიოხელშეშლების გამოვლენისას განხილული იქნა მომხმარებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც შესაბამისი სამუშაოების ჩატარების მიზნით გადაცემული იქნა ტექნიკური პერსონალისთვის;
- საქართველოში მაღალსიხშირული მოწყობილობების შემოტანაზე წარმოდგენილი მასალების განხილვის შედეგად გაიცა 145 შესაბამისი დოკუმენტაცია კომპანიებზე ტვირთის განსაბაჟებლად და შექმნილია მონაცემთა ბაზა;

- საქართველოს სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავი ხომალდებისთვის სახმობების და ამოცნობის ნიშნების მინიჭებასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის განხილვის შედეგად მომზადებული იქნა 2 გადაწყვეტილება 30 ხომალდისთვის;
- სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიომოყვარულებისთვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისათვის სახმობის მინიჭებასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა 18 გადაწყვეტილება, ამასთან შექმნილია რადიომოყვარულების საანკეტო მონაცემების ბაზა.
- განხორციელდა, რადიომაუწყებელი კომპანიების მოთხოვნების შესაბამისად, 3 სიხშირული მინიჭების ცვლილება ელექტრომაგნიტური თავსებადობის შენარჩუნებით, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის ტერიტორიაზე ბოლო პერიოდის განმავლობაში კენტ სიხშირეებზე მოწყობილი საავტომობილო რადიომიმღებების კონცენტრაციის მომატებით.
- მოხდა რადიოსიხშირული ზოლების სიხშირული საზღვრების დადგენა სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებისთვის: უსადენო ფართოზოლოვანი ქსელები, უსადენო ლოკალური ქსელები, რადიოსარელეო ხაზები, რადიოსანავიგაციო და რადიოსალოკაციო სისტემები, საფრენ აპარატებთან ინფორმაციის ურთიერთგაცვლის სისტემები (მიწა-ჰაერი, ჰაერი-მიწა); მოთხოვნილების შესაბამისად სიხშირული ზოლების, აუქციონის ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წესით გაცემის მიზნით, ტექნიკური საკითხების მომზადება და რეალიზაცია.
- 2009 წელს სამი კომპანიისთვის შერჩეულ იქნა რადიოსარელეო სიხშირეები და სიხშირული წყვილები ოთხ მიმართულებაზე (პუნქტიდან პუნქტამდე) და მაგისტრალურ ხაზებზე რადიოსარელეო სადგურების ფუნქციონირებისთვის. ლიცენზიების საწყისმა ჯამურმა საფასურმა 23 725,20 ლარი შეადგინა. ორი კომპანიის განაცხადის შესაბამისად, რვა ქალაქში, სიხშირული რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად, სააუქციონოდ დაიგეგმა სიხშირული ზოლები აუქციონის წესით გასაცემად. ლიცენზიის საფასურის საწყისმა ჯამურმა ოდენობამ 93 704 ლარი შეადგინა.
- სისტემატიურად ხორციელდებოდა ელექტრომაგნიტურად ურთიერთგავლენის ქვეშ მყოფი გამომსხივებლების შემთხვევებში, საერთო ზონებში დაცვითი თანაფარდობების ანალიზი და ტექნიკურად მისაღები დონეების შენარჩუნების პირობების დადგენა;

<u>2009 წელს მონაცემთა ბაზის მართვისა და მონიტორინგის პროგრამული უზრუნველყოფის კუთხით შესრულებული სამუშაოები:</u>

- განხორციელდა რადიოსიხშირული მინიჭებების შეტანა სარეესტრო მონაცემთა ბაზაში - შეტანილია 750-ზე მეტი სიხშირული მინიჭება;

- მონაცემთა ბაზის შევსებისას და შემდგომ მისი გამოყენების პროცესში გამოიკვეთა, მისი უნიფიცირების და გამოსახვის ეფექტურობის აუცილებლობა. ამასთან დაკავშირებით მომზადდა სპეციალურ ამოცანათა ჩამონათვალი და შეიქმნა განსაზღვრული მექანიზმი, რამაც განაპირობა ახალი ტიპის მონაცემთა ბაზის FAMS (Frequency Allocation and Monitoring System)-ის შექმნა. ამ კუთხით განისაზღვრა პროექტი, რომლის ფარგლებშიც დაისვა ამოცანა: გაკეთდეს ვიზუალიზაცია არსებული სიხშირეების, შეიქმნას გაცემული სიხშირული რესურსის ვიზუალიზაციის ინტერფეისი, შემუშავდეს გაცემული სიხშირული რესურსების მონიტორინგის ბაზის თვალსაჩინო სამუშაო ინსტრუმენტი. პროექტის ფარგლებში შემუშავდა და დაინერგა უნივერსალური საშუალებების მქონე პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ვიზუალური ასახვა უკლებლივ ყველა სიხშირული რესურსის, მათ შორის ვადაგასული მინიჭების მქონე სიხშირეების და იმ სიხშირეების, რომლის მინიჭების ვადა იწურება უახლეს 1 თვეში. შესრულდა ეროვნული სიხშირული გეგმის ინტეგრაცია FAMS - სისტემასთან რათა მოხდეს ორმაგი გადამოწმება სიხშირეების გაცემის დროს, ეროვნული სიხშირული გეგმის დეტალური ინფორმაციის ინტეგრაცია არსებულ სისტემაში, ვიზუალური და აზრობრივი გამიჯვნა სიხშირეებისა მიღება-გადაცემის კუთხით. შემუშავებულია თავისუფალი და დაკავებული ზოლების სიგანის გაზომვის საშუალებები, მთლიან სპექტრზე დაკვირვების მექანიზმი, არსებული მონიტორინგის მონაცემების ინტეგრაცია თითოეული სიხშირის ვიზუალიზაციის დროს, ორგანიზაციების და ლიცენზიების მონაცემების ინტეგრაცია FAMS - სისტემაში რათა იგი იყოს ხელმისაწვდომი უფრო ოპერატიულად მონაცემების შეტანის ან კორექტირების დროს, რეესტრში არსებული მონაცემების გადაწყვეტილებების და ლიცენზიების შესახებ ინტეგრაცია, ITU-ს მიერ მიღებული რეკომენდაციების აღწერა და ინტეგრაცია FAMS - სისტემაში. შემუშავდა GOOGLE EARTH რუკებთან ინტეგრაცია და სპეციალური საშუალებები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ყველა მონაცემთა ბაზაში არსებული სადგურის ასახვა ციფრულ რუკაზე.
- შემუშავდა მონაცემთა ბაზასა და ციფრულ რუკებს შორის დამაკავშირებელი საშუალება, რომლითაც ხდება ყველა სატელევიზიო არხის დატანა საქართველოს რუკაზე, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს თავისუფალი რესურსებით მანიპულირება, სამომავლო დაგეგმარების პროცესში მისი გამოყენება და არხების სწორი განაწილება გეოგრაფიული ზონების მიხედვით;
- შემუშავდა რადიომაუწყებლობისათვის გაცემული და შესაძლო გასაცემი სიხშირეების რუკაზე დატანის, აგრეთვე მოსაზღვრე რეგიონებიდან შემოსული რადიო არხების აღრიცხვის მექანიზმი;
- განხორციელდა ციფრული მაუწყებლობისათვის განკუთვნილი სიხშირეების განაწილება გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით.

- ATDI -ის მიერ მოწოდებული პროგრამული უზრუნველყოფისა და ციფრული რუკების გამოყენებით განხორციელდა WiMax ქსელის დაგეგმარება, რადიოდაფარვის ანალიზი საქართველოს სხვადასხვა რაიონებში როგორც არსებული მდგომარეობის გადამოწმების მიზნით, ასევე სასაზღვრო რეგიონებთან კოორდინაციისათვის, თეორიული დაფარვა და ველის დაძაბულობის განსაზღვრა სამაუწყებლო რეგიონებში, არსებული GSM და CDMA სადგურების დაფარვის ზონის გათვლა.
- შექმნილია მონაცემთა ბაზა, სადაც ინახება ყველა საეთერო ტელე-რადიო მაუწყებლის სიგნალის ვიზუალური გამოსახულება თბილისისა და დასავლეთ საქართველოში განთავსებულ სტაციონარული მონიტორინგის სადგურზე ანალიზატორის მონაცემების მიხედვით; მიმდინარეობს ყოველდღიური მონიტორინგი (4 საათში ერთხელ) დაკვირვება და მონაცემების შენახვა; მონაცემების სიდიდიდან გამომდინარე, მიმდინარეობს ბაზის სარეზერვო კოპირება, გარკვეული რაოდენობის შემდეგ მისი გადატანა და დუბლირება.
- რადიომონიტორინგის მობილური სისტემის ავტომობილი აღიჭურვა CDMA-ს ტიპის EVDO მოდემით, რამაც საგრძნობლად გაზარდა საპელენგაციო და რადიომონიტორინგით გათვალისწინებული სამუშაოებით მიღებული მონაცემების მონიტორინგის მართვის ცენტრში (MCC) გადმოცემის სიჩქარე და რაოდენობა. ასეთ შემთხვევაში, მობილური სადგურის გამოყენებით, დროის მოცემულ შუალედში, ვღებულობთ მონიტორინგის სტაციონალური საიტის ხასიათის სადგურს.
- აღმოიფხვრა რადიოხელშეშლებით და ინტერფერენციით გამოწვეული ტექნიკური ხარვეზების დაფიქსირების ფაქტები, რამაც გასული წლის განმავლობაში შეადგინა 20-ზე მეტი შემთხვევა, როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედ ოპერატორებს შორის, ასევე მეზობელ სახელმწიფოების ტერიტორიაზე მოქმედ სადგურებთან მიმართებაში. მიუხედავად რადიომონიტორინგის და საპელენგაციო სადგურების მინიმალური რაოდენობისა, ეფექტურად განხორციელდა შექმნილი რადიოხელშეშლების გამომწვევი მიზეზების დადგენა და ოპერატორებს გაეწია შესაბამისი ტექნიკური რეკომენდაციები.

ბაზრის კვლევა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის "ინტერნეტის ქსელით საცალო და საბითუმო მომსახურების ბაზრის სეგმენტების კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ" 2007 წლის 20 ივლისის №400/9 გადაწყვეტილებით, ინტერნეტის საცალო ბაზარზე არსებული მდგომარეობის რეგულირების მიზნით, კომისიამ დაადგინა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირები, რომელთაც დააკისრა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებები. აღნიშნული გადაწყვეტილების ფარგლებში, ინტერნეტით მომსახურების საცალო

ბაზარზე, პირველადი შეფასების კრიტერიუმად გამოყენებული იქნა ინტერნეტის ქსელებით მომსახურების მიმღები აბონენტების რაოდენობა. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, შესაბამისი გეოგრაფიული ზონების მიხედვით, ცნობილ იქნა შემდეგი ავტორიზებული პირები:

თბილისი	ქუთაისი	ფოთი	რუსთავი	ზუგდიდი	საქ. დანარჩენი ტერიტორია	აჭარა
შპს "კავკასუს ონლაინი"	შპს "კავკასუს ონლაინი", "	შპს "კავკასუს ონლაინი"	კავკასუს ონლაინი	შპს "კავკასუს ონლაინი"	შპს "ნამიო"	კავკასუს ონლაინი
შპს "ახალი ქსელები	შპს "ახალი ქსელები"	შპს "კავკასუს ონლაინი"				

2008 წლის 17 ოქტომბრის №605/9 გადაწყვეტილებით "ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევისა და ანალიზის შესახებ", განხორციელდა სადენიანი ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზარის დამატებითი რეგულირება. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებად ცნობილ იქნა შემდეგი იურიდიული პირები:

1 შპს "კავკასუს ონლაინი"
2 სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია"
3 სს "ეგრისი"
4 შპს "რკინიგზის ტელეკომი"
5 შპს "ნამიო"
6 შპს "ვანექსი"
7 შპს "სერვისი"
8 შპს "გრენა"
9 შპს "კავკასიის ციფრული ქსელი"
10 შპს "ჯეონეთი"
11 შპს "ულტრაკომი"
12 შპს "გლობალ ერთი"

კომისიის მიერ, ზემოაღნიშნული გადაწყვეტიელების ფარგლებში, დაზუსტდა ინფორმაციის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის სპეციფიკური ვალდებულების პირობები და დადგინდა ზედა ზღვრული ტარიფი გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე კონკრეტული ავტორიზებული პირებისთვის - სს "გაერთიანებული ტელეკომისთვის" და შპს "კავკასუს ონლაინისათვის".

2009 წელს, ინტერნეტ ბაზრის ანალიზისა და რეგულირების მიზნით, ავტორიზებული პირებისაგან, გამოთხოვილი იქნა გარკვეული ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია ინტერნეტის მომსახურების ბოლო მომხმარებლების რაოდენობის შესახებ. წარმოდგენილი როგორც პირველადი, ასევე ძირითადი მონაცემების ანალიზის მიხედვით, გამოირკვა, რომ კომისიის მიერ განხორციელებული ინტერნეტით მომსახურების საცალო ბაზრის ბოლო კვლევის ჩატარების შემდგომ, თბილისის გეოგრაფიულ ზონაში ინტერნეტის ქსელებით მომსახურების საცალო ბაზარზე მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, კერძოდ სს "გაერთიანებულ ტელეკომის", როგორც ვერტიკალურად ინტეგრირებული ოპერატორის მიერ ადგილობრივი დაშვების ქსელში სადენიანი, ისევე როგორც უსადენო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინტერნეტის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები, კომპანიის საერთო შემოსავლებში მნიშვნელოვან წილს იკავებს. მდგომარეობა არსებითად არის შეცვლილი ასევე რუსთავის გეოგრაფიულ ზონაშიც, სადაც საქმიანობს შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია", რომელიც ასევე ვერტიკალურად ინტეგრირებულ ავტორიზებულ პირს წარმოადგენს.

სპეციფიკური ვალდებულებების პირობების შესრულების მონიტორინგის და კონტროლის მიზნით, კომისიამ შეამოწმა და გაანალიზა ის გარემოებები რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებისათვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულების პირობების განმსაზღვრელ ანალიზურ ფაქტორებთან და კრიტერიუმებთან.

ტექნოლოგიური დივერსიფიცირებისა და ახალი (ინოვაციური) ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების დაფუძნების თვალსაზრისით, ავტორიზებული პირების მიერ ფართოდ დაინერგა სადენიანი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სააბონენტო ტექნოლოგიები. 2009 წლისათვის, საგრძნობლად შეიცვალა მდგომარეობა უსადენო (რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებით) ადგილობრივი დაშვების ქსელებითა და საშუალებებით მიწოდებული ინტერნეტ-მომსახურების მოცულობასთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში, ოპერატორების მიერ, თანამედროვე ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებების დაფუძნებამ, მისცა იმის საშუალება, რომ საგრძნობი მასშტაბით დაიწყონ საქმიანობა ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტზე და შესაბამისად გააფართოვონ მომსახურების მიწოდების არეალი. ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტზე, მიმდინარე პერიოდში დანერგილი და ამოქმედებული უსადენო რადიოსიხშირული ტექნოლოგიური გადაწყვეტილებებიდან აღსანიშნავია ე.წ "WiMax", "CDMA-1X"," CDMA 2000 EV-DO/DV", "3G-WCDMA", "3G-HSDPA" და სხვა ტექნოლოგიური საკომუნიკაციო პლატფორმები, როგორც ბოლო მომხმარებლისათვის ადგილობრივ ფიქსირებულ მისამართზე, ასევე, მოძრავი ბოლო მომხმარებლებისათვის ინტერნეტ მომსახურების მისაწოდებლად. 2009 წლის მდგომარეობით, ინტერნეტ-მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტი გაფართოვდა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის კუთხითაც.

ინტერენტით მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტზე განხილულ იქნა შემდეგი მომსახურების სახეები:

ა) ბოლო მომხმარებლის ფიქსირებულ მისამართზე სადენიანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტი;

ბ) ბოლო მომხმარებლის ფიქსირებულ მისამართზე უსადენო ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტი;

გ) მოძრავი ბოლო მომხმარებლისთვის ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტი".

კომისიამ გაანალიზა მიღებული მონაცემები/ინფორმაცია და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც:

- ბოლო მომხმარებლის ფიქსირებულ მისამართზე სადენიანი ინტერნეტით მომსახურების საცალო ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები განისაზღვრა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მუნიციპალიტეტების), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორის და დანარჩენი საქართველოს ტერიტორიის (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით) შესაბამისად";
- ფიქსირებულ მისამართზე ინტერნეტით მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებად დადგინდა გეოგრაფიულო ზონებისა მიხედვით:

თბილისი
სს "გაერთიანებული ტელეკომი"
შპს "კავკასუს ონლაინი"
შპს "ახალი ქსელები"
შპს "ახტელი"
რუსთავი
შპს "საქართველოს ცემტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია"
ქუთაისი
შპს "ახალი ქსელები
ფოთი
სს "გაერთიანებული ტელეკომი"
ბათუმი
შპს "აჭარის ელექტროკავშირი"
ქობულეთი
შპს "აჭარის ელექტროკავშირი"
ზუგდიდი
შპს "ივერია ქსელი"
სს "გაერთიანებული ტელეკომი"
სამტრედია

სს ”გაერთიანებული ტელეკომი”
შპს ”რკინიგზის ტელეკომი”
საქართველოს ყველა სხვა გეოგრაფიულ ზონაში
სს ”გაერთიანებული ტელეკომი”

- ბოლო მომხმარებლის ფიქსირებულ მისამართზე სადენიანი ინტერნეტ მომსახურების მიწოდების, ბოლო მომხმარებლის ფიქსირებულ მისამართზე უსადენო ინტერნეტ მომსახურების მიწოდების, ასევე მოძრავი ბოლო მომხმარებლისთვის ინტერნეტ მომსახურების მიწოდების ბაზრის სეგმენტებზე განსაზღვრულ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე კონკრეტულ პირს, შესაბამის გეოგრაფიულ საზღვრებში, დაეკისრა ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება, ასევე დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირმა, დაადგინოს, საჯაროდ გამოაქვეყნოს და აბონენტებთან გაფორმებულ კონკრეტულ ხელშეკრულებაში ასახოს ფართოზოლოვანი ინტერნეტ-მომსახურების გარანტირებულად გამოყოფილი სიმძლავრეების (მომსახურების მოცულობის) ქვედა და ზედა ზღვრები, ასევე ამ სიმძლავრეების გაზომვის და საანგარიშო თვეში ამ სიმძლავრეების (მიღებული მომსახურების მოცულობის) საშუალო ოდენობების შეფასების მეთოდიკა.

ბ) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირმა უზრუნველყოს, კონკრეტულ ხელშეკრულებაში ასახული, ინტერნეტ-მომსახურების გარანტირებულად გამოყოფილი სიმძლავრით ბოლო მომხმარებლის (აბონენტის) შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული ხელმისაწვდომობა მის ქსელში, აგრეთვე სხვა ოპერატორების ქსელებში განთავსებულ ინტერნეტ-რესურსებთან, მათ შორის ინტერნეტ გვერდებთან, ასევე, ინტერნეტ-მომსახურების სახეებთან.

გ) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე კონკრეტულმა ავტორიზებულმა პირმა აბონეტებისათვის მიწოდებული ინტერნეტ-მომსახურების საფასურის გაანგარიშებისას პროპორციულად გაითვალისწინოს საანგარიშო თვის დროის ის პერიოდ(ებ)ი, როდესაც ფაქტიურად გამოყოფილი სიმძლავრე (გაწეული მომსახურების მოცულობა)ნაკლები იყო ხელშეკრულებით განსაზღვრულ სიმძლავრესთან (მოცულობასთან) შედარებით და მოახდინოს აღნიშნული ინფორმაციის ასახვა ბოლო მომხმარებელისათვის მიწოდებული მომსახურების საფასურის დეტალურ ანგარიშში.

- ბოლო მომხმარებლის ფიქსირებულ მისამართზე სადენიანი ინტერნეტ მომსახურების მიწოდების, ბოლო მომხმარებლის ფიქსირებულ მისამართზე უსადენო ინტერნეტ მომსახურების მიწოდების, ასევე მოძრავი ბოლო მომხმარებლისთვის ინტერნეტ მომსახურების მიწოდების ბაზრის სეგმენტებზე განსაზღვრულ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე

კონკრეტულ პირს, შესაბამის გეოგრაფიულ საზღვრებში, დაეკისროს დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე კონკრეტული ავტორიზებული პირი ვალდებულია არ დაუშვას მომხმარებელთა რომელიმე ჯგუფის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება სხვა ავტორიზებულ პირთა ან მომხმარებელთა ჯგუფების ხარჯზე;

ბ) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე კონკრეტული ავტორიზებული პირი ვალდებულია კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად აწარმოოს ქსელის ელემენტების, საოპერაციო საქმიანობისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეების მიხედვით ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ან/და ურთიერთჩართვის მიწოდებასთან დაკავშირებული დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად, ობიექტურად და გამჭვირვალედ აღრიცხვა და განაწილება.

გ) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე კონკრეტული ავტორიზებული პირი ვალდებულია კომისიაში წარმოადგინოს ინფორმაცია, ბოლო მომხმარებლების რაოდენობის, დანახარჯების განაწილებისა, სატარიფო გეგმების და სხვა ავტორიზებული პირებისგან მიღებული შემოსავლების თაობაზე ინფორმაცია ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

- ბოლო მომხმარებლის ფიქსირებულ მისამართზე სადენიანი ინტერნეტ მომსახურების მიწოდების, ბოლო მომხმარებლის ფიქსირებულ მისამართზე უსადენო ინტერნეტ მომსახურების მიწოდების, ასევე მოძრავი ბოლო მომხმარებლისთვის ინტერნეტ მომსახურების მიწოდების ბაზრის სეგმენტებზე განსაზღვრულ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე კონკრეტულ პირს, შესაბამის გეოგრაფიულ საზღვრებში, დაეკისროს სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება შემდეგი პირობებით:

ა) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორმა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეების მიწოდება უნდა განახორციელოს დანახარჯებზე ორიენტირებული და არადისკრიმინაციული ტარიფით";

- ბოლო მომხმარებლის ფიქსირებულ მისამართზე უსადენო ინტერნეტ მომსახურების სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებად დადგინდა:
    - შპს "მაგთიკომი"
    - შპს "გაერთიანებული ტელეკომი"

- მოძრავი ბოლო მომხმარებლისთვის ინტერნეტ მომსახურების მიწოდების საცალო მომსახურების ბაზრის სეგმენტის, ასევე ბოლო მომხმარებლის ფიქსირებულ მისამართზე უსადენო ინტერნეტ მომსახურების მიწოდების ბაზრის სეგმენტის გეოგრაფიულ ზონად განისაზღვრა მთელი საქართველოს ტერიტორია";
- მოძრავი ბოლო მომხმარებლისთვის ინტერნეტ მომსახურების მიწოდების საცალო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე იურიდიულ პირებად ცნობილ იქნან:

    - შპს "მაგთიკომი"
    - შპს "ჯეოსელი"
- მოძრავი ბოლო მომხმარებლისთვის ინტერნეტ მომსახურების მიწოდების საცალო მომსახურების მიწოდების ბაზრის სეგმენტის გეოგრაფიულ ზონად განისაზღვრა მთელი საქართველოს ტერიტორია";
- ბოლო მომხმარებლის ინტერნეტის ქსელით მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტი და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტი განისაზღვრა, როგორც მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტები.
- სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვრები განისაზღვროს შემდეგ ტერიტორიულ საზღვრებში: ქ. თბილისი, ქ ქუთაისი, ქ. რუსთავი, ქ. ფოთი, ქ. ზუგდიდი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და საქართველოს დანარჩენი ტერიტორია.
- სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად დადგინდა:

    - **ქ. თბილისის ადგილობრივი მომსახურების ზონაში**
        - სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია"
        - შპს "ახალი ქსელები"
        - შპს "ახტელი"
    - **ქ. ქუთაისის ადგილობრივი მომსახურების ზონაში**
        - შპს "ახალი ქსელები";
    - **ქ. რუსთავის ადგილობრივი მომსახურების ზონაში**
        - შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია";
    - **ქ. ფოთის ადგილობრივი მომსახურების ზონაში**
        - შპს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია";
    - **ქ. ზუგდიდის ადგილობრივი მომსახურების ზონაში**
        - სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია";

- o შპს ”ივერია ქსელი”;
- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია**
  - o შპს ”აჭარის ელექტროკავშირი”;
- **საქართველოს სხვა დანარჩენი ტერიტორია**
  - o სს ”საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია”.

მომხმარებელთა უფლებები

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოსულ საჩივართა უმრავლესობა ეხება უხარისხო სატელეფონო მომსახურებას, კერძოდ, სატელეფონო კავშირის ტექნიკურ გაუმართაობასა და დაბალ ხარისხს, საკაბელო ინფრასტრუქტურის დაზიანების მიზეზით მომხმარებლებისთვის სატელეფონო მომსახურების შეწყვეტას, მოქმედი კანონმდებლობის დაცვის გარეშე ტელეფონის ნომრის მოხსნას და კომპანიებს შორის არსებული უთანხმოების გამო მომსახურების მიწოდების შეწყვეტა. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად გაიზარდა საჩივრების რაოდენობა, რომლებიც ეხება ამა თუ იმ მომსახურებისთვის დარიცხულ სადაო დავალიანებას.

2009 წელს საგრძნობლად გამოიკვეთა ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის მიერ მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობასთან შეუსაბამობა და არაეფექტურობა, რამაც გამოიწვია ხელშეკრულებების შეცვლის აუცილებლობის საკითხის დღის წესრიგში დაყენება.

თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების გამრავალფეროვნების პირობებში მომხმარებლები სულ უფრო ხშირად აწყდებიან მომსახურების პირობების თაობაზე ინფორმაციის ნაკლებობას ან ოპერატორი კომპანიების მხრიდან ახალი ტიპის მომსახურების ან პირობების შეცვლის შესახებ დაგვიანებით შეტყობინებას.

სამსახურში შემოსული საჩივრების ნაწილი გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებისა ასევე განპირობებულია მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მხრიდან მომხმარებლების მიერ შეტანილი განცხადებებების განუხილველად დატოვების ან საჩივრის განხილვისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვადების უხეში დარღვევის გამო.

2009 წელს საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოვიდა 60 წერილობითი განცხადება და 81 ზეპირი (სატელეფონო) საჩივარი.

წინა წლებისგან განსხვავებით, როცა სატელეფონო მომსახურების ხანგრძლივი დროით შეწყვეტა განპირობებული იყო სათანადოდ დაუცველი საკაბელო მეურნეობის დატაცებით, ამჟამად ადგილი აქვს სატელეფონო მომსახურების

შეწყვეტას დაზიანების გამო. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ამ პრობლემას აღარ აქვს ისეთი მასშტაბური ხასიათი, როგორც წინა წლებში. აღნიშნული განპირობებულია ორი ძირითადი ფაქტორით: პირველი, საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ინტენსიური მუშაობით ამ მიმართულებით და მეორე, მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მიერ ძველი ავტომატური სატელეფონო სადგურების ციფრული სადგურებით შეცვლით.

სატელეფონო კავშირის დაზიანების უმრავლეს შემთხვევაში საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ჩარევის შემდეგ ოპერატორი კომპანიების მხრიდან პრობლემაზე რეაგირება საგრძნობლად დაჩქარდა სატელეფონო მომსახურების აღდგენა მომხმარებლებისთვის.

2009 წელს საკმაოდ აქტუალური გახდა მომხმარებლებსა და მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს შორის დავა მომსახურებისთვის დარიცხული დავალიანების სისწორეზე. მთელ რიგ შემთხევებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის მოთხოვნის შემდეგ არაერთი კომპანიის აბონენტს ჩამოეწერა დარიცხული დავალიანება, რომელსაც ის სადაოდ ხდიდა. მაგალითად, სამსახურში შემოვიდა მოქალაქე ლ.ფერაძის განცხადება, რომელშიც მოქალაქე სადაოდ ხდიდა სს "გაერთიანებული ტელეკომის" მიერ დარიცხული დავალიანების სისწორეს, რომელიც წარმოიშვა მისი, როგორც სს "გაერთიანებული ტელეკომის" აბონენტის მიერ შპს ,,მაქსტელის" საერთაშორისო კოდის საშუალებით განახორციელებული ზარით შპს "ჯეოსელის" აბონენტთან. საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ჩარევის შედეგად აბონენტს აღნიშნული თანხა სრულად ჩამოეწერა.

2009 წელს გამოიკვეთა მოქმედი კანონმდებლობის დაცვის გარეშე ტელეფონის ნომრის მოხსნის არაერთი შემთხვევა, რომელიც განპირობებული იყო მომსახურების პირობების თაობაზე მომხმარებელთა ინფორმირების დაბალი დონით და აბონენტებთან მომსახურების მიწოდებაზე გაფორმებული ხელშეკრულების არარსებობით. უმრავლეს შემთხვევაში საზოგადოებრივი დამცველის მოთხოვნა მომხმარებლისთვის ტელეფონის ნომრის აღდგენის თაობაზე მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის მიერ შესრულებული იქნა. კერძოდ, სამსახურში შემოვიდა მოქალაქე რ.ნაკუდაიძის განცხადება, რომელშიც ის სადაოდ ხდიდა მისთვის სს ,,გაერთიანებული ტელეკომის" მიერ ტელეფონის ნომრის მოხსნას და ტელეფონის აღსადგენად 140 ლარის გადახდის მოთხოვნას. სამსახურმა აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და სს ,,გაერთიანებული ტელეკომის" მომხმარებლისთვის ტელეფონის ნომრის აღდგენის დაკისრების თაობაზე. აღნიშნული წარმოება მორიგებით დასრულდა და მომხმარებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

2009 წელს მასშტაბური ხასიათი მიიღო მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს შორის უთანხმოების გამო მომხმარებლებისთვის სატელეფონო და ინტერნეტ-მომსახურების შეწყვეტამ. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როცა

მომხმარებლებს შეეზღუდათ მომსახურების კომპანიების მხრიდან მათთვის სასურველი სხვა კომპანიის ინტერნეტ-მომსახურების არჩევის უფლება. მაგალითად, სამსახურში შემოვიდა საქართველოს დიპლომატიური აკადემიის განცხადება, რომელშიც მომხმარებლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ინტერნეტ მომსახურების შეწყვეტის გამო. შეზღუდვის მიზეზი კი შპს "კავკასუს ონლაინსა" და სს "გაერთიანებული ტელეკომს" შორის დადებული ხელშეკრულების ვადების ამოწურვა იყო. მომხმარებლები ითხოვდნენ შპს "კავკასუს ონლაინს" შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აბონენტებისთვის აღედგინა ინტერნეტ მომსახურება. სამსახურმა აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას თხოვნით ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე საკითხის დროული გადაწყვეტის მიზნით. აღნიშნული წარმოება დასრულდა მორიგებით და მომხმარებლის მთელი რიგი მოთხოვნები დაკმაყოფილდა, კერძოდ შპს "კავკასუს ონლაინს" დაევალა გაეუმჯობესებინა მომხმარებელთან ურთიერთობის სამსახურის მუშაობა და დაევალა მომხმარებელთა პრეტენზიების ოპერატიული განხილვა და შესაბამისი რეაგირების უზრონველყოფის ვალდებულება. კერძოდ, დაზიანებათა აღმოფხვრა კომპანიამ უნდა მოახდინოს "ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" რეგლამენტის მე-18 და 181-ე მუხლებით განსაზღვრული პირობებითა და ვადების და იმ პირობებით, რაც გათვალისწინებულია მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, რომელიც თავის მხრივ უნდა მოყვანილი იქნას შესაბამისობაში "ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მიწოდების წესების და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" რეგლამენტის მოთხოვნებთან.

სამსახურში შემოსული საჩივრების მიხედვით ვლინდება, რომ მომხმარებელთა პრეტენზიები ხშირად განპირობებულია სწორედ მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან მათი აბონენტების ინფორმირების დაბალი დონით ან მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. აღნიშნული აგრეთვე განპირობებულია, მომხმარებლებთან მომსახურების მიწოდების შესახებ წერილობითი ხელშეკრულების არარსებობით ან კიდევ მომხმარებლებთან ისეთი ხელშეკრულების გაფორმებით, რომელიც შეიცავს ძალზედ ზოგად პირობებს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა ხელშეკრულებები და გამოირკვა, რომ კომპანიასა და მომხმარებელს შორის დავის არსებობის შემთხვევაში ამ უკანასკნელს აყენებს წამგებიან მდგომარეობაში, ვინაიდან წარმოდგენილი ხელშეკრულებები ხშირ შემთხვევაში არ ასახავს მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითხს მომხმარებელთა წინაშე. საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა თავისი საქმიანობის განმავლობაში არაერთგზის შეისწავლა მომსახურების მიმწოდებელ კომპანიათა ტიპიური ხელშკრულებები მომსახურების მიწოდების თაობაზე და მოსთხოვა მათი განახლება და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ და სავალდებულო პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მომხმარებელთა მაქსიმალურად ინფორმირების

აუცილებლობას. მსგავსი პრობლემით სამსახურში შემოვიდა შპს "ახალი ქსელების" აბონენტის მოქალაქე ი.ხახუტაშვილის განცხადება, სადაც აბონენტი უკმაყოფილებას გამოთქვამდა შპს "ახალი ქსელების" და შპს "ლაგის" მომსახურების თაობაზე. კერძოდ, 2009 წლის თებერვლის თვეში მას ორმხრივად გაეთიშა სატელეფონო მომსახურება შპს "ლაგის" დავალიანების გამო, რომელიც შეადგენდა 40 ლარს. დავალაინების გადახდის გარდა შპს "ლაგი" მომხმარებელს სთხოვდა სატელეფონო ნომრის ხელახალი ჩართვის ღირებულების გადახდას 5 ლარის ოდენობით, რამაც გამოიწვია აბონენტის უკმაყოფილება. წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, აბონენტსა და შპს "ახალ ქსელებს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას არ ჰქონდა უფლება მომსახურება შეეზღუდა სხვა კომპანიის დავალიანების გამო ან ეს უნდა ასახულიყო მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. სამსახურმა აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე და მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, კომპანია შპს "ლაგს" დაევალა სატელეფონო მომსახურების შეზღუდვისა და მომსახურების განახლების ხარჯების თაობაზე (ოდენობა, გადახდის ვადა) მომხმარებლის სათანადო და სრული ინფორმირება; შპს "ლაგს" განემარტა, რომ მომხმარებელს არ უნდა დაეკისროს მომსახურების აღდგენისთვის დადგენილი ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება თუ მომხმარებელი წინასწარ არ არის ინფორმირებული ამის თაობაზე; მოქალაქე ი.ხახუტაშვილი გათავისუფლებული იქნა შპს "ლაგის" მიერ დაკისრებული სატელეფონო მომსახურების ჩართვა-გამორთვის ტარიფის გადახდისაგან; შპს "ახალ ქსელებს" დაევალა მომხმარებელთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების კორექტირება და საკუთარი აბონენტების ყველა შესაძლო გზით ინფორმირება მომსახურების მიწოდების, შეზღუდვის და შეწყვეტის ყველა გარემოებების თაობაზე.

2009 წელს გამოიკვეთა პრობლემა ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლის მხრიდან აბონენტებისთვის ინტერნეტ მომსახურებისთვის შეთავაზებული ხელშეკრულების პროექტის დისკრიმინაციული ხასიათის თაობაზე. კერძოდ, სამსახურში შემოვიდა აბონენტ ლ.ჭიღლაძის განცხადება, რომელშიც იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა შპს "კავკასუს ონლაინის" მიერ აბონენტებისთვის შეთავაზებული ხელშეკრულების პირობების თაობაზე, განცხადებაში მომხმარებელი აღნიშნავდა, რომ შპს "კავკასუს ონლაინის" ხელშეკრულების დებულებები არის დიკრიმინაციული მომხმარებლების მიმართ და ითხოვდა ამ ფაქტზე რეაგირებას. სამსახურმა აღნიშნული პრობლემის შესწავლის მიზნით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. კომისიის 2009 წლის 25 დეკემბრის №709/18 გადაწყვეტილების შესაბამისად შპს "კავკასუს ონლაინს" დაევალა გადაწყვეტილებაში მითითებული დარღვევების დროულად აღმოფხვრა და ინტერნეტ მომსახურების სტანდარტული ხელშეკრულების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

,,ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" რეგლამენტის 28-ე მუხლის

პირველი პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელთა საჩივრების მიღების, განხილვისა და დროულად გადაწყვეტის მიზნით მომსახურების მიმწოდებელი უზრუნველყოფს მომხმარებელთა საჩივრების განმხილველი სამსახურის შექმნას. ხოლო ამავე რეგლამენტის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ”მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს საჩივრის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს მე-15 დღისა. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მომხმარებელთა საჩივრების განმხილველი სამსახური მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოსული ზეპირი და წერილობითი განცხადებების საფუძველზე ირკვევა, რომ არის შემთხვევები, როცა მომსახურების მიმწოდებელი განიხილავს მომხმარებელთა საჩივრებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვადების უხეში დარღვევით ან კიდევ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის ყოველმხრივ შესწავლილი და სათანადოდ დასაბუთებული. მხოლოდ მომხმარებლის საზოგადოებრივი დამცველის სამსახურისადმი მიმართვისა და სამსახურის აღნიშნულ შემთხვევებში ჩარევის შემდეგ უზრუნველყოფენ მომსახურების მიმწოდებელი კომპანიები მომხმარებლებს შესაბამისი ინფორმაციით აბონენტების მიერ წარდგენილ განცხადებებზე”.

ქართულმა საკომუნიკაციო სექტორმა EBRD-ის მაღალი შეფასება მიიღო

2009 წლის მაისში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) ევროკავშირისა და დსთ-ს 29 ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, საკომუნიკაციო სექტორის კვლევა დაასრულა. პროექტი მიზნად ისახავდა აღნიშნული სახელმწიფოების საკომუნიკაციო სექტორის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო დოკუმენტთან შესაბამისობის შემოწმებას, რომელსაც ჩვენი ქვეყანა 2000 წელს შეუერთდა. აღსანიშნავია, რომ საქართველომ ამ კვლევის მიხედვით, არა ევროკავშირის ქვეყნებს შორის მაღალი შეფასება მიიღო, თუმცა საუბარი იყო EBRD-ის ექსპერტების სამომავლო რეკომენდაციებზეც.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ქვეყნების შეფასება შემდეგი კრიტერიუმების შესწავლის შედეგად ჩამოაყალიბა: ურთიერთჩართვა და ქსელის ელემენტებთან დაშვება, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების კონცეფცია და კონკურენციის მექანიზმების უზრუნველყოფა, ბაზარზე დაშვება (სადენიან და უსადენო ქსელში), დავების განხილვისა და გასაჩივრების პროცედურები და მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა. სწორედ ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით დაიმსახურა საქართველომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებს შორის მაღალი შეფასება. EBRD-ის განცხადებით, საქართველომ მოწინავე პოზიცია საკანონმდებლო მზადყოფნით, ჰარმონიზაციის, ზოგადად არსებული მარეგულირებელი ჩარჩოსა და ინსტიტუციონალური თვალსაზრისით დაიკავა.

კვლევაში აღნიშნულია რამდენიმე პრობლემაც, რომელთა მოგვარებაც წაადგება საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციების განვითარებას. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა სალიცენზიო სისტემაა. მათი აზრით, კანონში ლიცენზირებას დაქვემდებარებული ტექნოლოგიების ჩამოთვლა, სხვა, ახალი ტექნოლოგიების განვითარებისათვის შეიძლება ბარიერად ჩაითვალოს. დასკვნაში ასევე ნახსენებია მოძველებული ინფრასტრუქტურა, რასაც ზოგიერთი ოპერატორი თავის სასარგებლოდ იყენებს. ამას გარდა, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა კანონის შესრულების უზრუნველყოფაზეც და აღინიშნა, რომ საქართველოში ინსტიტუციონალური ჩარჩო საკმაოდ კარგადაა ჩამოყალიბებული და მარეგულირებელი დამოუკიდებელ ინსტიტუტს წარმოადგენს, მისაღებია მოქმედი კანონმდებლობაც, თუმცა ძირითადი რეკომენდაცია სწორედ მისი შესრულების უზრუნველყოფასა და მარეგულირებლის პროაქტიურობისკენ მოწოდებას ეხება.

EBRD-ის დასკვნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პოტენციური ინვესტორები. ბანკს მიაჩნია, რომ საქართველოში სატელეკომუნიკაციო სექტორში ინვესტიციების განხორციელება საინტერესო და მომგებიანია. კვლევაში ქართული სატელეკომუნიკაციო ბაზარი შეფასებულია, როგორც პერსპექტიული სამომავლო განვითარებისა და შემოსავლებისა თუ ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციების ზრდის კუთხით.

თავი III

დაგეგმილი საქმიანობა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მუშაობს რამდენიმე მნიშვნელოვან და სტრატეგიულ საკითხზე, რომელთა ნაწილი 2010 წელს დასრულდება. ქვევით ჩამოთვლილია ის საკითხები, რომლებიც კომისიის განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს.

ციფრული მაუწყებლობა

ამჟამად მთელს მსოფლიოში ანალოგური სატელევიზიო მაუწყებლობიდან ციფრულზე გადასვლის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. 2006 წელს, ქ. ჟენევაში რადიოკავშირის რეგიონალური კონფერენციაზე (RRC-06) მიღებული GE06 გეგმის შესაბამისად ის უნდა დასრულდეს 2015 წლისათვის. დასრულდა იმ ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც სიხშირული ზოლების განაწილებას, პროცესის კოორდინაციასა და სტანდარტიზაციას უკავშირდებოდა. ევროკომისიის მოთხოვნით, 2011 წელს ევროპაში ანალოგური ტელევიზია აღარ უნდა არსებობდეს, შესაბამისად, საქართველოსთვისაც ეს საკითხი დღის წესრიგში საკმაოდ აქტუალურად დგას. ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე კონფერენცია ჩატარდა, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებიც ესწრებოდა. კომუნიკაციების

ეროვნული კომისია მუშაობს იმ სტრატეგიასა და პოლიტიკაზე, რომლის მიხედვითაც საქართველოში ციფრულ ტელემაუწყებლობაზე გადასვლა უნდა დაიწყოს.

2005 წლის დასაწყისში, ITU-ს წინასწარი განაწილების შედეგად, საქართველოს ერგო სულ 72 ციფრული არხი. 2007 წელს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ძალისხმევით, მეზობელ ქვეყნებთან წარმოებული მოლაპარაკებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების ხელმოწერის შედეგად, მოხდა აღნიშნული არხების 72-დან 175-მდე გაზრდა და გასული წლის ნოემბრის თვეში მათი საბოლოოდ დამტკიცება. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული არხების რაოდენობას დაეთანხმა ITU-ც და საქართველოს მდგომარეობა რეგიონში "ეტალონურ სიტუაციად" მიიჩნია. 2006 წელს ასევე ITU-ს მიერ, რადიოკავშირის რეგიონალურ კონფერენციაზე (RRC 06), შემუშავებულ იქნა პირველი და მე-3 რეგიონებისთვის, 174-230 მგჰც და 470-862 მგჰც სიხშირულ დიაპაზონებში მიწისზედა ციფრული მაუწყებლობის გეგმა Geneva 06, რომელიც მიზნად ისახავდა რადიოსიხშირული სპექტრის ეფექტურად გამოყენებას, როგორც ნაციონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ამავე გეგმის მიხედვით საქართველოსთვის დაგეგმარებულ იქნა 175 ციფრული არხი, რომლებიც განაწილდა ქვეყნის სრულ ტერიტორიაზე 10 სამაუწყებლო ზონაში.

ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გარდამავალ პერიოდში სასურველია გამოყენებულ იქნეს ციფრული მაუწყებლობის საერთო ევროპული სტანდარტი DVB, ხოლო სიგნალის კომპრესირებისას (შეკუმშვისას) – MPEG-4 ან უფრო მაღალი. ასეთი სტანდარტების გამოყენებით შესაძლებელი იქნება ერთ სატელევიზიო არხში 6-8 სტანდარტული ხარისხის სატელევიზიო პროგრამისა და ამავდროულად, 4 რადიოარხის მოთავსება.

ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა, რომელიც ციფრულ ტელევიზიას ახლავს, სწორედ სიხშირული რესურსის მაღალი ტევადობაა, ერთი და იგივე სიხშირულ ზოლში თუკი ანალოგური მაუწყებლობის დროს მხოლოდ ერთი სატელევიზიო არხის გადაცემაა შესაძლებელი, ციფრულის შემთხვევაში ეს შესაძლებლობა გაცილებით იზრდება. ტევადუნარიანობა ამ სისტემის უფრო მეტია, ვიდრე ანალოგურის, რადგან იგი ციფრულია, ციფრული სისტემები კი მეზობელ ზოლებში შეიძლება გაკეთდეს, ორი მეზობელი სპექტრალური სიხშირული ზოლის შემთხვევაში ციფრული სიგნალები ფაქტობრივად ერთმანეთს ხელს არ უშლის, ანალოგურში კი დიამეტრალურად საწინააღმდეგო სიტუაციაა: ორი გვერდი გვერდარსებული ზოლის გამოყენება შეუძლებელია. მაგალითად, თუ გაცემულია 24-ე დეციმეტრული არხის ლიცენზია, 25-ს ვეღარ გასცემ, ციფრულში კი სულ სხვა მდგომარეობაა, იქ პირდაპირ, მიჯრით შეიძლება ზოლების გაცემა. ყველა ტელევიზიას, რომელიც ამჟამად ფლობს დეციმეტრულ სიხშირეს, დღესვე შეუძლია ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა, ხოლო როგორ მოხდება მომავალში ზოლების აუქციონზე გატანა, ეს საკითხი სწორედ იმ სტრატეგიის ნაწილია, რომელზეც ახლა მიმდინარეობს მუშაობა. ერთადერთი პრობლემა იქნება მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა და იმისთვის, რომ არ მოხდეს

ერთმანეთისთვის ხელის შეშლა, საჭიროა სიხშირული ზოლების კოორდინირება განხორციელდეს და მათი გაცემის დროს შესაბამისი ინფორმაცია ITU-ს გადაეცეს.

ტელევიზიისთვის შემუშავებულია ორი სტანდარტი DVB-T საეთერო მაუწყებლობისთვის და DVB-H მობილური ტელევიზიისთვის. ეს ორის სტანდარტი აბსოლუტურად თავსებადია ერთმანეთთან. საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემთხვევაში მობილური ტელევიზია მობილური კავშირის სიხშირეზე იფუნქციონირებს. მომხმარებლისთვის ეკრანის ზომებიდან გამომდინარე ხარისხი ტელევიზორთან შედარებით განსხვავებული იქნება, თუმცა გაცილებით მაღალი, ვიდრე ეს ანალოგური სატელევიზიო მაუწყებლობის შემთხვევაშია.

ინტერნაციონალიზებული დომენური სახელების სწრაფი დანერგვის განხორციელების გეგმა ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენში

2009 წლის ოქტომბერში მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციამ (ICANN) დაამტკიცა პროგრამა, რომლის ფარგლებშიც უმოკლეს პერიოდში უნდა მოხდეს ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის ინტერნაციონალიზაცია.

მარტივად რომ ვთქვათ, პროგრამის მიღების შედეგად შესაძლებელი გახდა სრულიად ინტერნაციონალიზებული დომენური სახელის რეგისტრაცია. პროგრამაში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას, ისევე, როგორც სხვებს, მიენიჭება შესაბამისი IDN ccTLD სტრიქონი (ზედა დონის ინტერნაციონალიზებული დომენური სტრიქონი).

შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში პროგრამის დანერგვის შედეგად შესაძლებელი გახდება ქართულენოვანი დომენური სახელების გამოყენება. არსებული .GE დომენური სახელი შენარჩუნებული იქნება ნებისმიერ შემთხვევაში.

ASCII ccTLD- ისგან განსხვავებით (1992 წელს მინიჭებული .ge დომენი), ახალი IDN სახელი არ მიენიჭება ავტომატურად ISO – 3166 სტანდარტის მიხედვით; ის უნდა იყოს არჩეული ქვეყნის შიგნით ICANN-ის მიერ შემოთავაზებული მოთხოვნების გათვალისწინებით. ამ პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღოს როგორც ქვეყნის მთავრობამ და შესაბამისმა სტრუქტურებმა, ასევე - ინტერნეტ-საზოგადოებამ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, როგორც საქართველოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტში, პროგრამის გამოქვეყნებისთანავე გადადგა ნაბიჯები ქვეყანაში მის დასანერგად. კერძოდ, კომისიაში შედგა პროგრამის განხილვა-პრეზენტაცია, კომისიის ვებ-გვერდზე

(www.gncc.ge) გამოქვეყნდა პროგრამასთან დაკავშირებული მასალები და ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა დომენური სტრიქონის შესარჩევად.

დომენური სტრიქონი უნდა აკმაყოფილებდეს ICANN-ის მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს. კერძოდ: ინტერნაციონალიზებული ზედა დონის დომენური სტრიქონი, თავისი მნიშვნელობით, უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი ქვეყნის სახელწოდებას; ან ქვეყნის სახელწოდების ნაწილს, რომელიც აღნიშნავს ქვეყნის სახელწოდებას; ან ქვეყნის სახელწოდების ცნობად შემოკლებულ ფორმას (აკრონიმს), რომელიც აღნიშნავს ქვეყნის სახელწოდებას.

ახალი ქართული დომენის შერჩევის პროცესში ინტერნეტ-საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა ინფორმაციული ბლოგი კომისიის ვებ-გვერდზე. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოება აქტიურ მონაწილეობას მიიღებს შერჩევის პროცესში და ახალი დომენი შეირჩევა ქართული ინერნეტ-საზოგადოების საერთო აზრის საფუძველზე.

ინტერნაციონალიზებული დომენური სახელების სწრაფი დანერგვის განხორციელების გეგმა ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენში მნიშვენლოვანია ჩვენი ყვეყნისთვის, რადგან :

- ქართული ანბანი არის ერთ-ერთი, მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან. ამ პროგრამის მეშვეობით ჩვენ გვეძლევა უნიკალური შესაძლებლობა, ხელი შევუწყოთ ჩვენი ენისა და კულტურის პოპულარიზაციას მსოფლიოში.
- ინტერნეტ საზოგადოებისთვის ეს არის ახალი ალტერნატივა - მეორე ნაციონალური დომენის რეგისტრაცია ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინტერნეტის განვითარებას, გაუმჯობესებს დომენების რეგისტრაციის პროცესს და მისცემს მომხმარებელს დომენის არჩევის ახალ საშუალებას.

ნუმერაციის ახალი სისტემა

საქართველოში ნუმერაციის ევროპულ სისტემაზე გადასვლა იწყება. ამ საკითხზე კომუნიკაციების ეროვნული კომისია და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ერთობლივად მუშაობენ.

ნუმერაციის შეცვლას ორი ძირითადი მიზანი აქვს: ქართული ნუმერაციის სისტემის ევროგაერთიანების ქვეყნების სისტემასთან ჰარმონიზაცია და არსებული რესურსის გაზრდა. არსებული სისტემა პრაქტიკულად გამობმულია ძველ ინფრასტრუქტურაზე, რომელიც მოძველებული ტექნოლოგიითაა აწყობილი და ფაქტობრივად ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენს. უბრალოდ არ იძლევა იმის საშუალებას, რომ იგივე საოპერატორო მომსახურების ბაზარი განვითარდეს, უნიფიცირებული აკრეფის წესი იყოს საქალაქთაშორისო და საერთაშორისო დარეკვებზე და ა.შ. იგეგმება თბილისში ექვსნიშნა სააბონენტო ნომერის სვიდნიშნაზე გადაყვანა. ხოლო რაიონებში ნუმერაცია გახდება ექვს ან ხუთნიშნა. პროექტით საქართველო დანაწილებულია გეოგრაფიულ ზონებად,

თითოეულ ზონას კი თავისი კოდი აქვს. ძირითადად, გამოყენებული იქნება სამ და ოთხნიშნა კოდები და იგი მხოლოდ თბილისისთვის იქნება ორნიშნა. თბილისის კოდი ორიანზე დაიწყება და შესაბამისად 32 აღარ იქნება. კიდევ ერთი ცვლილება უკავშირდება საგანგებო მომსახურების ნომრებს: სასწრაფო, სახანძრო, პოლიცია და სხვა. 01, 02 და მსგავსი ნომრები ევროპაში არსად აღარ გამოიყენება, ძირითადად სარგებლობენ საგანგებო მომსახურების ცენტრების ნომრებით: 112, 116, 118. ცვლილება იქნება ერთი და ორი ნულის განსაკუთრებული შემთხვევაც, რომელიც ჩვენთან ჯერჯერობით ასევე არ მოქმედებს: ორი ნულის აკრეფვისას, უკავშირდებით აბონენტს საზღვარგარეთ, კრეფთ ერთ ნულს და რეკავთ ქვეყნის შიგნით, ან სხვადასხვა მომსახურების სახეებზე, ან იგივე მობილური ქსელის აბონენტთან ან სხვა ქალაქის ქსელის აბონენტთან. ცვლილებები შეეხება მობილურ ნომრებსაც. დღევანდელი სისტემით 899, 877 და ა.შ. ოპერატორზეა მინიჭებული და მერე იგი თავად აძლევს აბონენეტებს ნომრებს ქსელის შიგნით. ახალი ნუმერაციით აღნიშნულიც შეიცვლება და კოდები 6–იანით დაიწყება: იქნება 699, 677 და ა.შ. ამ შემთხვევაშიც ცხრა ნიშანი გამოდის, მაგრამ პრინციპული განსხვავება ისაა, რომ ეს იქნება არა ოპერატორის, არამედ აბონენტის საიდენტიფიკაციო კოდი და 6–იანი სივრცე ნუმერაციის ამისთვის იქნება გამოყოფილი.

ნომრის პორტაბელურობა

2002 წლიდან ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ევროპული ჰარმონიზებული კანონმდებლობის მქონე ქვეყნები ვალდებულნი არიან (უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა (2002/22/EC) მუხლი 30), უზრუნველყონ ფიქსირებული და მობილური სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელი ოპერატორების მომხმარებელთა უფლება, შეინარჩუნონ არსებული სააბონენტო ნომერი მომსახურების მიმწოდებლი ოპერატორის შეცვლისას შემდეგი პირობებით:

- <u>გეოგრაფიული სააბონენტო ნომრების</u> შემთხვევაში - კონკრეტულ გეოგრაფიულ ზონაში
- <u>არაგეოგრაფიული სააბონენტო ნომრების</u> შემთხვევაში - ნებისმიერ ადგილას.
- არსებული არ ითვალისწინებს <u>ფიქსირებულ და მობილურ</u> ქსელებს შორის სააბონენტო ნომრის პორტირებას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოშიც ფიქსირებული და მობილური ოპერატორები ვალდებულები იქნებიან, უზრუნველყონ სააბონენტო ნომრის პორტაბელურობა, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს:

- *<u>მომხმარებლის სარგებელს</u>*, სატელეფონო ნომრის გამოცვლის გარეშე მიიღოს მომსახურება სასურველი ოპერატორისაგან;
- *<u>კონკურენციის განვითარებას;</u>*
- ბაზარზე ახალი *<u>ოპერატორების შესვლის</u>* წახალისებას;
- *<u>ქსელების განვითარებას;</u>*

- *<u>მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.</u>*

2008 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შემუშავდა და კომისიის ვებ-გვერდზე საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნდა საქართველოში ნომრის პორტაბელურობის დანერგვის საკონსულტაციო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სააბონენტო ნომრის პორტაბელურობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა სახის ტექნიკურ, ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხს. საკონსულტაციო დოკუმენტი ასევე მოიცავს კომისიის რეკომენდაციებს ისეთი სახის ტექნიკური და ადმინისტრაციული ოფციების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ნომრის პორტაბელურობის წარმატებით დანერგვისა და უზრუნველყოფის საუკეთესო გრძელვადიან გადაწყვეტას.

ამჟამად კომისიაში მიმდინარეობს მუშაობა დებულებაზე სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს საერთო სარგებლობის სატელეფონო მომსახურების ოპერატორების მიერ სააბონენტო ნომრის პორტაბელურობის განხორციელებისა და უზრუნველყოფის წესებსა და პირობებს.

თავი IV

ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების ბაზრის განვითარების მიმოხილვა

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიზეზით გამოწვეული სხვადასხვა სექტორის შემოსავლების კლება ქართულ ელექტრონული კომუნიკაციის ბაზარზეც აისახა. 2009 წელს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის მთლიანი შემოსავლის კლება აღინიშნა და საერთო ჯამში მან 1 მილიარდ 250 მილიონი ლარი შეადგინა (დღგ-ის ჩათვლით), რაც წინა წელთან შედარებით 49 მილიონი ლარით ნაკლებია.





საკომუნიკაციო დარგის საერთო შემოსავლების წლიური ზრდის პიკური ტემპი აღინიშნა 2006 წელს და მან 42.3% მიაღწია. როგორც გრაფიკიდანაც ჩანს, 2007 წელს ზრდის ტემპი 11.2%, 2008 წელს კი 16.7% შეადგინა. 2009 წელს კი დაფიქსირდა ბაზრის კლება 3.8%-ით.

ქვევით მოცემულია ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე მიღებული შემოსავლები.

ელექტრონული ბაზრის შემოსავლები

	2008	2009	ცვლილება
ფიქსირებული სადენიანი ქსელი	250 293 147	254 268 582	3 975 434
ფიქსირებული უსადენო ქსელი	16 410 863	43 332 408	26 921 545
მოძრავი საკომუნიკაციო 2G/3G	885 518 377	811 153 139	- 74 365 238
მოძრავი საკომუნიკაციო CDMA	-	26 754	26 754
მაუწყებლობა	100 523 326	89 674 480	- 10 848 846
საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხების იჯარა	3 462 727	3 855 447	392 720
თანალოკაციის ფართის იჯარა	2 513 324	1 697 912	- 815 412
ანძების იჯარა	638 480	735 670	97 190
დაშვებული ოპერატორებისაგან DSL მომსახურების ორგანიზებისათვის ერთჯერადი ჩართვის საფასური	47 110	50 089	2 980
მაგისტრალური საკომუნიკაციო არხების იჯარა	21 804 998	28 042 641	6 237 643
ოპტიკურ ბოჭკოვანი საკომუნიკაციო სისტემის სახაზო საშუალებების იჯარა	548 438	490 085	- 58 353
საკომუნიკაციო მომსახურების სხვა სახეები	2 057 491	8 986 783	6 929 293
არასაკომუნიკაციო მომსახურების სახეები	16 085 869	8 154 627	- 7 931 242
სულ შემოსავლები	1 299 904 150	1 250 468 618	- 49 435 533

აღსანიშნავია, რომ კომისიის 2008 წლის ანგარიშში მოყვანილი ციფრები დაკორექტირებულია. შესაბამისად, გარკვეული სხვაობაა წინა წლის მონაცემებში.

დარგის შემოსავლების წილი ეკონომიკის მთლიან შიდა პროდუქტში

2000 წლიდან დაწყებული, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის შემოსავლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში სისტემატური ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2001 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 3.76%-ს შეადგენდა, 2006 წლისათვის კი 7.49%-ს მიაღწია. 2007 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა, მშპ-ის ზრდის უპრეცედენტო ტემპის ფონზე (რაც ქვეყნის ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების ტენდენციით აიხსნება); 2008 წელს მაჩვენებელმა კვლავ მოიმატა. ანალოგიური დაფიქსირდა 2009 წელსაც, თუმცა მთლიანი შიდა პროდუქტის კლების ფონზე.

	2005	2006	2007	2008	2009
საკომუნიკაციო დარგის შემოსავლები (მლნ ლარი)	703 681	1 001	1 113	1 299	1 250
მშპ (მლნ ლარი)	11 621	13 370	16 999	19 070	17 949
საკომუნიკაციო დარგის შემოსავლების წილი მშპ-ში	6.06%	7.49%	6.54%	6.8%	6.9%

მობილური ტელეფონია

2009 წელს პირველად საქართველოში მობილური სატელეფონო მომსახურების შთამბეჭდავი ზრდის შემდეგ, დაფიქსირდა 74 მილიონი ლარით კლება. მობილურის შემოსავლების ზრდის ტემპი 2006 წელს 53,05%, 2007 წელს 8,35 %, 2008 წელს 25, 67% იყო.

ქვევით მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია უკანასკნელი 2 წლის მანძილზე მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის (2G/3G) სხვადასხვა მომსახურების მიხედვით მიღებული შემოსავლები. როგორც მასში ნათლად ჩანს, შემოსავლის კლებაა პრაქტიკულად ყველა ტიპის მომსახურებაზე, გარდა ინტერნეტ და როუმინგ მომსახურებისა. ინტერნეტ მომსახურება ნელ-ნელა უკვე ხელმისაწვდომი ხდება საქართველოს ბევრი რეგიონის მოსახლეობისათვის და ეს ციფრი შესაბამისად კიდევ უფრო გაიზრდება მომავალში.

ქვევით მოცემულია მობილური სატელეფონო ქსელის საშუალებით სხვადასხვა ტიპის მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავალი.

მობილური ქსელი	2008	2009	სხვაობა
ქსელში ჩართვის გადასახადი	2 476 898	1 966 977	-509 921
სააბონენტო გადასახადი	4 496 036	6 878 567	2 382 532
სხვა მომსახურების სახეები	30 313 898	25 390 727	-4 923 172
სხვა დამატებითი მომსახურების სახეები	20 497 938	19 551 963	-945 976
ინტერნეტ მომსახურება	14 334 846	18 890 499	4 555 653
სატელეფონო ხმოვანი საცალო მომსახურების სახეები	532 894 804	475 825 733	-57 069 072
SMS მომსახურება	78 207 480	72 142 770	-6 064 709
MMS მომსახურება	1 726 673	1 087 400	-639 273
მობილური ტელევიზია	26 413	8 918	-17 495
ვიდეო ზარი	159 141	78 478	-80 663
როუმინგის მომსახურები	14 689 826	19 177 592	4 487 766
ურთიერთჩართვის მომსახურების სახეები	185 689 585	170 124 132	-15 565 453
სხვა საერთაშორისო ოპერატორის კოდით მომსახურებისათვის მომხმარებლებისაგან თანხების ამოღების საფასური	4 837	29 382	24 546
სულ	885 518 377	811 153 139	-74 365 238





მიუხედავად იმისა, რომ მობილური ტელეფონიის საერთო შემოსავალმა 2009 წელს დაიკლო, მცირედით შემცირდა მთლიანად ელექტრონული კომუნიკაციის ბაზრის შემოსავლებში მისი წილი. 2008 წელს მთლიანად დარგის შემოსავლების 68% მობილურ ტელეფონიას ეჭირა, 2009 წელს კი ეს მონაცემი 3%-ით შემცირდა და 65% შეადგინა.



მობილური ტელეფონიის შემოსავლების საერთო კლების პარალელურად, 2009 წელს კვლავ მზარდი იყო აბონენტების რაოდენობა. 2009 წელს, წინა წელთან შედარებით მობილურ ქსელში 213 616 აბონენტი ჩაერთო და საერთო ჯამში მათმა რიცხვმა 3 მილიონს გადააჭარბა.



მობილური ქსელის აბონენტების რაოდენობამ ჯერ კიდევ 2003 წელს გადააჭარბა ფიქსირებული ქსელის აბონენტების რიცხვს. მათ შორის სხვაობა უკვე ძალიან დიდია, თუმცა უკანასკნელ პერიოდში ფიქსირებული უსადენო ტექნოლოგიების განვითარებისა და გავრცელების ფონზე, იმატა უსადენო ფიქსირებული ქსელის აბონენტთა რიცხვმა, რამაც საბოლოო ჯამში ფიქსირებული ქსელის აბონენტთა რაოდენობის ზრდა გამოიწვია.



მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ყოველთვიური შემოსავლების ოდენობა საშუალოდ ერთ აბონენტზე გადაანგარიშებით 2000 წელს 57.74 ლარს, 2006 წელს - 31.8 ლარს, 2007 წელს 22.6 ლარს, 2008 წელს 25.9 ლარს, ხოლო 2009 წელს 22.1 ლარს შეადგენდა. როგორც ამ მონაცემიდან ჩანს, აბონენტებმა მცირედით შეზღუდეს საუბრის ხანგრძლივობა და მობილურ ტელეფონზე გაწეული ხარჯი.



მობილური ტელეფონიის ბაზარზე, დღეისათვის საქართველოში სამი კომპანია ოპერირებს- შპს "მაგთიკომი", შპს "ჯეოსელი" და შპს "მობიტელი" (სავაჭრო ნიშანი- ბილაინი). შპს "მობიტელი" შედარებით ახალი ოპერატორია ქართულ ბაზარზე, მან საქმიანობა 2007 წლიდან დაიწყო. მან უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული აქტიური და აგრესიული კამპანიის შედეგად, საკმარისად დიდი რაოდენობის აბონენტების მოზიდვაც მოახერხა. ერთი წლის წლის



მანძილზე (2009 წელს) 140 271 ახალი აბონენტი აიყვანა. შპს "მაგთიკომის" აბონენტების რიცხვი კი პირველად მისი საქმიანობის მანძილზე შემცირდა 78 817 აბონენტით. აბონენტების რაოდენობაში კლების პარალელურად, შპს "მაგთიკომს" კლება აქვს მობილური ტელეფონიის მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლების მხრივაც. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შპს "მაგთიკომი" შევიდა ფიქსირებული ტელეფონიის ბაზარზეც და გარკვეული შემოსავალი (და ახალი აბონენტებიც) ამ სეგმენტიდანაც მიიღო. მცირეოდენი სხვაობაა მობილური კომპანიების წილებში აბონენტებისა და მიღებული შემოსავლების მიხედვით.

ფიქსირებული ტელეფონია



2008 წლის ჩათვლით კომისიის ანგარიშების მონაცემებში, ფიქსირებული ტელეფონიის შემოსავლებში, შესული იყო როგორც საბითუმო ისე საცალო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები. 2009 წლიდან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში შემოსული მონაცემები უფრო დეტალიზირებულია, რამაც მოგვცა საშუალება გაგვემიჯნა ერთმანეთისაგან საცალო და საბითუმო მოსახურებისგან მიღებული შემოსავლები. აქედან გამომდინარე, შედარება მოხდება მხოლოდ 2008 წლის მონაცემებთან. ფიქსირებული ტელეფონიის საერთო შემოსავლები, სტაბილურად (თუმცა მცირე ტემპით) მზარდია. 2009 წელს წინა წელთან შედარებით, ზრდის ტემპმა 11% შეადგინა. ფიქსირებული ტელეფონია შეგვიძლია დავყოთ ფიქსირებულ სადენიან და ფიქსირებულ უსადენო ქსელად.

	2008	2009
ფიქსირებული სადენიანი ქსელი	250 293 147	254 268 582
ფიქსირებული უსადენო ქსელი	16 410 863	43 332 408
სულ ფიქსირებული ტელეფონიის შემოსავალი	266 704 010	297 600 989

როგორც ცხრილიდან ნათლად ჩანს, მცირედით მოიმატა ფიქსირებული სადენიანი და საგრძნობლად მოიმატა ფიქსირებული უსადენო ქსელის შემოსავლებმა. ფიქსირებული უსადენო მომსახურების მიწოდებისგან მიღებული შპს "მაგთიკომის" შემოსავლები 2008 წელს 2.5 მილიონი ლარი იყო, 2009 წელს კი

მან თითქმის 16 მილიონს მიაღწია. სს "საქართველოს ტელეკომის შემოსავლებმა ამავე მომსახურებაში 2008 წელს 9 მილიონი, 2009 წელს კი 16 მილიონი შეადგინა. თუ მთლიანად ელექტრონული ბაზარზე დაფიქსირებულ კლების ტენდენციას გავითვალისწინებთ, საგულისხმოა, რომ ფიქსირებული უსადენო ქსელის არც ერთი მომსახურების სახეობაში კლება არ შეინიშნება (იხ. ცხრილი ქვემოთ).

ფიქსირებული უსადენო ქსელი	2008	2009	სხვაობა
შემოსავლები სულ. აქედან:	16 410 863	43 332 408	26 921 545
ქსელში ჩართვის გადასახადი	5 850 516	9 125 555	3 275 039
სატელეფონო სააბონენტო გადასახადი	971 475	3 353 237	2 381 763
სხვა მომსახურების სახეები	54 457	159 305	104 847
სხვა დამატებითი მომსახურების სახეები	399 758	1 784 567	1 384 810
მომხმარებლების ინტერნეტით მომსახურება	326 181	1 985 788	1 659 608
სატელეფონო ხმოვანი საცალო მომსახურების სახეები	4 219 582	14 600 044	10 380 462
ურთიერთჩართვის მომსახურების სახეები	4 488 462	12 180 648	7 692 185
სხვა საერთაშორისო ოპერატორის კოდით მომსახურებისათვის მომხმარებლებისაგან თანხების ამოღების საფასური	100 432	143 262	42 831

ფიქსირებული სადენიანი ქსელის მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლები და წინა წელთან შედარებით 2009 წელს დაფიქსირებული ცვლილებები იხილეთ ქვევით ცხრილში:

ფიქსირებული სადენიანი ქსელი	2008	2009	სხვაობა
ფიქსირებული სადენიანი ქსელი	250 293 147	254 268 582	3 975 434
ტელეფონის დადგმა	3 284 441	2 561 113	-723 329
სატელეფონო სააბონენტო გადასახადი	25 394 426	27 447 636	2 053 209
სხვა მომსახურების სახეები	12 693 765	13 201 194	507 429
სხვა დამატებითი მომსახურების სახეები	4 588 516	3 263 160	-1 325 356
სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილის იჯარა	5 305 363	4 284 850	-1 020 514
მომხმარებლების ინტერნეტით მომსახურება	56 068 333	73 948 674	17 880 341
სატელეფონო ხმოვანი საცალო მომსახურების სახეები	82 571 535	70 218 439	-12 353 096
ურთიერთჩართვის მომსახურების სახეები	58 885 797	55 367 852	-3 517 944
სხვა საერთაშორისო ოპერატორის კოდით მომსახურებისათვის მომხმარებლებისაგან თანხების ამოღების საფასური	1 500 971	3 975 664	2 474 693



2009 წელს, 28%-ით (182 233 აბონენტით) მოიმატა ფიქსირებული ქსელის აბონენტების რიცხვმა, რაც ბუნებრივია ძირითადად ფიქსირებული უსადენო ქსელის აბონენტების მატებაზე მოდის.

როგორც ქვევით მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2009 წელს თითქმის 170 000 ახალი აბონენტი ჩაერთო ფიქსირებულ უსადენო ქსელში.

	2008	2009
ფიქსირებული სადენიანი ქსელის აბონენტები	578 394	590 909
ფიქსირებული უსადენო ქსელის აბონენტები	69 595	239 313
სულ ფიქსირებული ქსელის აბონენტები	647 989	830 222

საბითუმო მომსახურება

ელექტრონული კომუნიკაციის ბაზარზე მოქმედი ოპერატორები (შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში) შემოსავალს იღებენ სხვადასხვა საბითუმო მომსახურებიდან. ქვევით მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2008-2009 წლებში კომპანიების მიერ მიღებული შემოსავლები.

	2008	2009
საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხების იჯარა	3 462 727	3 855 447
თანალოკაციის ფართის იჯარა	2 513 324	1 697 912
ანძების იჯარა	638 480	735 670
დაშვებული ოპერატორებისაგან DSL მომსახურების ორგანიზებისათვის ერთჯერადი ჩართვის საფასური	47 110	50 089
მაგისტრალური საკომუნიკაციო არხების იჯარა	21 804 998	28 042 641
ოპტიკურ ბოჭკოვანი საკომუნიკაციო სისტემის სახაზო საშუალებების იჯარა	548 438	490 085
საკომუნიკაციო მომსახურების სხვა სახეები	2 057 491	8 986 783
არასაკომუნიკაციო მომსახურების სახეები	16 085 869	8 154 627
სულ შემოსავლები	47 158 437	52 013 256

ინტერნეტ მომსახურება

კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას, რომელსაც სურს კონკრეტულად ინტერნეტ მომსახურების მიწოდება, ვალდებულია გაიაროს ავტორიზაცია საქმიანობის დაწყებამდე. ავტორიზაცია ხორციელდება განუსაზღვრელი ვადით. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ავტორიზაცია ინტერნეტ მომსახურებაზე 2005-2009 წლებში გავლილი აქვს 113 კომპანიას. სულ შემოსულია 115 ავტორიზაციის დეკლარაცია. აქედან წლების მიხედვით ინტერნეტ მომსახურებაზე ავტორიზაცია გავლილი კომპანიების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება:

2005	2006	2007	2008	2009
13	42	21	35	4

ინტერნეტ მომსახურების გაწევაზე ავტორიზაციის გავლა, არ ავალდებულებს კომპანიას დაიწყოს რეალური საქმიანობა. აქედან გამომდინარე, ძალიან ბევრი კომპანია, რომელსაც გავლილი აქვს მომსახურების ამ სახეობაზე ავტორიზაცია, რეალურად არ ეწევა აღნიშნულ საქმიანობას.

აღნიშნული 113 კომპანიიდან, ინტერნეტ მომსახურებას არ აწვდის 71 კომპანია. აქედან 42 კომპანია არ ფლობს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში არანაირ სხვა ლიცენზიას; თერთმეტი მათგანი სატელევიზიო კომპანიაა. დანარჩენი 18 კომპანიდან კი 8 კომპანიას გააჩნია ნუმერაციის რესურსი და ეწევა შესაბამის საქმიანობას; 2 კომპანიას გაუქმებული აქვს ლიცენზია და შესაბამისად აღარანაირ საქმიანობას ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში აღარ ეწევა, დანარჩენი 8 კომპანია კი ფლობს ლიცენზიას რადიოსიხშირული და/ან რადიოსარელეო სიხშირეების გამოყენებაზე.

ძირითადი და ყველაზე მსხვილი ინტერნეტ რესურსების მფლობელი, ქვეყნის მასშტაბით არის შპს "ეგრისი", შპს "რკინიგზის ტელეკომი", შპს "კავკასუს ონლაინი" და სს "საქართველოს გაერთიანებული ტელეკომი". რიგი კომპანია სარგებლობს მათი რესურსებით და მათი საშუალებით აწვდის ინტერნეტს საკუთარ აბონენტებს. სამწუხაროდ, დღეისათვის ვერ ხერხდება ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობის დადგენა.
ინტერნეტ მომსახურების მიწოდება ხორციელდება როგორც ფიქსირებული სადენიანი ქსელის (DSL, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით და "დაილაპით"), ასევე ფიქსირებული უსადენო ქსელის (CDMA 1x, EV-Do, Wimax) და მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის (GPRS, WAP/GPRS, Wimax, HSDPA) საშუალებით. 2009 წელს სხვადასხვა ქსელის საშუალებით მიწოდებული ინტერნეტ მომსახურებისგან მიღებული შემოსავლები ნათლად ჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ინტერნეტ მომსახურების შემოსავლები	2008	2009
ფიქსირებული სადენიანი ქსელის საშუალებით	56 068 333	73 948 674
ფიქსირებული უსადენო ქსელის საშუალებით	326 181	1 985 788
მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის (2G-3G) საშუალებით	14 334 846	18 890 499
სულ	70 729 360	94 824 961



როგორც ცხრილიდან იკვეთება, მატებაა ინტერნეტის ყველა ტექნოლოგიით საშუალებით მიწოდებით მიღებულ შემოსავლებში. ჯამში, ეს 2009 წელს, ელექტრონული კომუნიკაციის ბაზრის ერთადერთი სეგმენტია, სადაც 34%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

მაუწყებლობა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, ტელე-რადიო მაუწყებელობის პრიორიტეტების დასადგენად შპს "ბი-სი-ჯი კვლევასთან" ტელემეტრული ელექტრონული სისტემის (ფიფლმეტრის) სახელწიფო შესყიდვების შესახებ 2008 წელს დადო ნარდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც "ბი-სი ჯი კვლევას" დაევალა: საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის კვლევა საქართველოს 25 სამაუწყებლო ზონაში, რომლებიც დადგენილია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 "ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ" დადგენილებით, გარდა 24-ე სამაუწყებლო ზონისა.

საზოგადოებრივი აზრის კვლევა გულისხმობდა საქართველოში არსებულ სამაუწყებლო ზონებში, მოსახლეობის - სულ 6500 (ექვსი ათას ხუთასი) პირის გამოკითხვას განურჩევლად სქესისა, ასაკისა, სოციალური მდგომარეობისა თუ ეთნიკური კუთვნილებისა და გამოკითხვის შედეგების სრულყოფილი ანალიზის წარმოდგენა თითოეულ სამაუწყებლო ზონაზე განცალკევებულად და აგრეთვე საქართველოს მთლიან სამაუწყებლო ზონაზე პროგრამული პრიორიტეტების მითითებით, რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო, მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია:

ა) დამოკიდებულება და მოთხოვნილება სათემო ტელე და რადიო მაუწყებლობისადმი და თემატური შინაარსი;
ბ) დამოკიდებულება და მოთხოვნილება კერძო ტელე და რადიო სპეციალიზებული მაუწყებლობისადმი და თემატური შინაარსი (სპეციალიზაცია);
გ) დამოკიდებულება და მოთხოვნილება კერძო ტელე და რადიო საერთო მაუწყებლობისადმი;
დ) მაუწყებლობის პრიორიტეტები მაუწყებლობის განხორციელების ტექნოლოგიური საშუალებების (საეთერო, საკაბელო, თანამგზავრული, ციფრული და ა.შ.) მიხედვით.

აღნიშნული სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა 2009 წლის 8 იანვარს და კომისიამ ჩაიბარა პირველი ეტაპის სამუშაო. 2009 წელს, ხელშეკრულებით გაფორმებული სამუშაო ვერ დაასრულა შპს "ბი-სი-ჯი კვლევამ" რის გამოც კომისიას არ მიეცა საშუალება საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დაედგინა მაუწყებლობის სფეროს პრიორიტეტები.

საქართველოს კანონით "მაუწყებლობის შესახებ" მიხედვით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაიცემა ორი ტიპის კერძო მაუწყებლობის ლიცენზია - საერთო და სპეციალიზირებული. სულ დღეის მდგომარეობით გაცემულია 106 ლიცენზია 78 სხვადასხვა კომპანიაზე. აქედან 84 საერთო და 22 სპეციალიზირებული მაუწყებლობისათვის. კერძო მაუწყებლობის ლიცენზიებიდან: საერთო ტელემაუწყებლობაზე მოდის 50, ხოლო საერთო რადიომაუწყებლობაზე 34 ლიცენზია; სპეციალიზირებული მაუწყებლობიდან კი 10 სპეციალიზირებულ რადიომაუწყებლობაზე, 12 კი სპეციალიზირებული ტელემაუწყებლობაზე მოდის.

მაუწყებლობასთან დაკავშირებული სატელეკომუნიკაციო საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით არ საჭიროებს ლიცენზირებას, კერძოდ, მაუწყებლობის ტრანზიტი - უცვლელი სახით გადაცემა კაბელით. ამ მომსახურების მომხმარებლისათვის მიწოდების მსურველი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ავტორიზაციას გადის. 2009 წლის ბოლოსათვის ავტორიზაცია გაიარა:
2009 წლის ბოლოსათვის ავტორიზაცია გაიარა:

- სამაუწყებლო მომსახურებაზე 16
- საკაბელო სატრანზიტო ტელემაუწყებლობაზე 121 და
- საკაბელო სატრანზიტო რადიომაუწყებლობაზე 30 კომპანიამ



2009 წელს, დაახლოებით 10 მილიონი ლარით შემცირდა ტელე-რადიო მაუწყებლობის სფეროს შემოსავლები. 2005 წლის შემდეგ, მაუწყებლობის სფეროს შემოსავლები მართალია მცირე, მაგრამ მაინც სტაბილური ზრდით ხასიათდებოდა. 2009 წელი პირველი წელია, როდესაც მისი შემოსავლების კლება დაფიქსირდა და 2009 წელს, სულ სხვადასხვა ტიპის მაუწყებლობით შემოსულმა შემოსავალმა 89 674 480 ლარი შეადგინა.

მაუწყებლობის შემოსავალი 2009	
სპეციალიზირებული რადიო მაუწყებლობა	213 882
სპეციალიზირებული ტელემაუწყებლობა	3 329 945
საერთო ტელემაუწყებლობა	73 759 309
საერთო რადიომაუწყებლობა	6 656 852
საკაბელო ტელე-რადიომაუწყებლობა	5 714 492
სულ	89 674 480

თავი V

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

სტრატეგიული გეგმა

2007-2010

სტრატეგიული გეგმის მიზანია დაგეგმოს მარეგულირებლის საქმიანობა, განსაზღვროს სამოქმედო მიზნები და ამოცანები საშუალო და გრძელ ვადაში. სტრატეგიული გეგმის მეშვეობით ასევე ადვილდება შიდა კონტროლი, ხდება მარეგულირებლის ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების მართვის ეფექტურობისა და ეფექტიანობის ზრდა. სტრატეგიული გეგმის საშუალებით განისაზღვრება საჭიროებები, იქნება ეს ინფორმაციის, მომზადების, საექსპერტო, ტექნიკური თ"უ სხვა საჭიროებანი.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, კანონმდებლობით მინიჭებული აქვს რიგი უფლებები და პასუხისმგებლობები, რის მიხედვითაც იგი გეგმავს თავის საქმიანობას. კომისიის უფლებამოსილებებში შედის.

კომისიამ შეისწავლა ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე არსებული მდგომარეობა, საერთაშორისო მასშტაბით განვითარების არეალი და პერსპექტივები, ჩათვალა, რომ მომავალი 3 წლის მანძილზე, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი მიმართულებების განვითარება და ხელშეწყობა, რის მიხედვითაც, ჩამოაყალიბა შესაბამისი სტრატეგიული მიზნები:

სტრატეგიული მიზნები

მიზანი 1: ფართოზოლოვანი საკომუნიკაციო მომსახურების განვითარება (Broadband & LLU, DLL development)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია სტრატეგიულ მიზნად ისახავს ფართოზოლოვანი საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის გავნითარებას ამ სახის მომსახურებაზე მოთხოვნის ტენდენციური ზრდიდან გამომდინარე და შესაბამისად ადგილობრივი დაშვების ქსელში კონკურენციის უზრუნველყოფას, რაც უნდა განხორციელდეს ოპერატორებისთვის ქსელში დაშვების წასახალისებლად შესაბამისი პირობების უზრუნველყოფით.

ამ ბაზრის განვითარების ხელშეწყობის საჭიროებას ასევე განაპირობებს კონვერგენციის პროცესიც, რომელიც ამ შემთხვევაში გულისხმობს ფართოზოლოვანი საკომუნიკაციო მომსახურების არა მხოლოდს სწრაფად

მონაცემთა გადაცემისთვის გამოსაყენებლად არამედ VoIP ტექნოლოგიებისთვის (ხმოვანი გადაცემა ინტერნეტ პროტოკოლის საშუალებით), რამაც უკვე ფართოდ მოიკიდა ხელი ევროპის ქვეყნებში.

მიზანი 2: კონკურენციის ხელშეწყობა

ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობა უზრუნველყოფს მომხმარებლებისათვის ფართო არჩევანს და მომსახურების ხარისხის ზრდას. კონკურენციის წინასწარი რეგულირება მიზნად ისახავს ეფექტიანი, გრძელვადიანი, კონკურენტული და ღია საბაზრო გარემოს ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ ხელს უწყობას ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებსა და საშუალებებში ინვესტიციების წახალისებას და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვას. კონკურენციის რეგულირება ხორციელდება ობიექტურობის, ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის, ფუნქციონალური ექვივალენტობის, მინიმალური საჭირო რეგულირების, პროპორციულად თანაზომადი სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების, გამჭვირვალეობის და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვის გათვალისწინებით.

კონკურენციის წინასწარი რეგულირების გამჭვირვალე, ობიექტური და ეფექტიანი რეჟიმის დანერგვის მიზნით საწიროა შემუშავდეს ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის კვლევის მეთოდოლოგიური წესები.

კონკურენციის ხელშესაწყობად საჭიროა ოპერატორების მიერ არაკონკურენტული საქმიანობის თავიდან აცილება, როგორიცაა მტაცებლური ფასების დაწესება; ზრდადი გადართვის (ოპერატორის შეცვლის) ხარჯები; ურთიერთჩართვაზე უარი; დისკრიმინაციული დაშვების ფასები და ა.შ.

ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მფლობელის მიერ ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა შესაბამისი ბაზრის კვლევა და ვალდებულებების დაკისრება. ამ ყოველივესთვის აუცილებელია მეთოდოლოგიის შემუშავება, თუ როგორ უნდა მოხდეს, ბაზრის განსაზღვრა, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალის მქონე ოპერატორის გამოვლენისთვის საჭირო კრიტერიუმების განსაზღვრა და შესაბამისი ვალდებულებების განსაზღვრა.

მიზანი 3: სიხშირული რესურსის მართვა

სიხშირული რესურსი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი რესურსია. თუ კარგად დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ სიხშირული რესურსის გამოყენებით შემოსული შემოსავალი, ქვეყნის სხვა რესურსებიდან შემოსულ შემოსავალს აღემატება.

სიხშირული სპექტრის მართვის მექანიზმები და მიდგომები მუდმივად უნდა იხვეწებოდეს და ახლდებოდეს. მისი მართვისას გასათვალისწინებელია

მუდმივად და სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიები და შესაბამისი მოთხოვნები. ახალი ტექნოლოგიების განვითარებას ხელი შეეშლება სიხშირული სპექტრის ადექვატური მართვის მექანიზმების არ არსებობის პირობებში; შეიზღუდება კონკურენცია, ვერ დაინერგება ახალი ტექნოლოგიები და ქვეყნის მოქალაქეების ვერ ჩაებმებიან გლობალური ინფორმაციის ციკლში; ქვეყნის ბიუჯეტი ვერ მიიღებს სათანადო შემოსავალს.

სიხშირული რესურსების გამოყოფისა და კოორდინაციისას, საქართველოს ინტერესების დაცვის გარეშე, ვერ მოხდება მისი, როგორც სრულფასოვანი ქვეყნის წარმოდგენა საერთაშორისო საკომუნიკაციო არენაზე, შეიზღუდება მისი შესაძლებლობები მიიღოს მაღალ ტექნოლოგიური მომსახურება.

მიზანი 4: ნუმერაციის სისტემის რეფორმა

ნუმერაცია ქვეყნის ერთ-ერთი შეზღუდული და ამოწურვადი რესურსია. ნუმერაციის სისტემა საერთაშორისო მასშტაბით ქვეყნის იდენტიფიცირების ერთ-ერთი ინსტრუმენტია.ამავე დროს, ნუმერაციის სისტემის გაუმართავად ფუნქციონირებით, იზღუდება კონკურენცია და მომხმარებელს ვერ მიეწოდება მოთხოვნის შესაბამისი მომსახურება.

საქართველოში დღეისათვის მოქმედი ნუმერაციის სისტემა მოძველებულია და ვერ პასუხობს ქვეყნის თანამედროვე მოთხოვნებს. კონკურენციის ზრდასთან ერთად, იზრდება ნუმერაციის რესურსზე მოთხოვნაც. ახალი ტექნოლოგიების განვითარება და მისი არეალის გაფართოება ასევე აყენებს მოთხოვნებს ნუმერაციის რესურსის გამოყენებაზე. თანამედროვე ნუმერაციის გეგმის შემუშავებისას, გასათვალისწინებელია მზარდი ტექნოლოგიები და მისი მუდმივად განახლებული მოთხოვნები.

ნუმერაციის ახალ სისტემაზე გადასვლა დიდ ძალისხმევას და წინასწარ გააზრებულ და დაგეგმილ ნაბიჯებს მოითხოვს. ამისათვის საჭიროა ქვეყნის მოთხოვნის შესწავლა და მისი დაკმაყოფილებისათვის შესაბამისი სტრატეგიის შერჩევა. ნუმერაციის ახალი სისტემის შემუშავებას, თან მოჰყვება მასზე ქვეყნის გადასვლის უზრუნველსაყოფი სამუშაოები. ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ, უნდა დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნა ნომრების პორტატიულობაზე.

მიზანი 5: სამაუწყებლო ბაზრის განვითარება

წლიდან წლამდე ელექტრონული კომუნიკაციების განვითარებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა სამაუწყებლო ბაზარზე მთლიანად. შეცვალა მისი განვითარების ადრე ჩამოყალიბებული მიმართულებები. დღეს შესაცვლელია ელექტრონული მედიის საშუალებების საქმიანობის წესები და პოლიტიკა, იმისათვის რომ ვუპასუხოთ ტექნოლოგიური ცვლილებებით გამოწვეულ ახალ მოთხოვნებს და საჭირობებს. კომისამ უნდა შეისწავლოს, პასუხობს თუ არა არსებული რეგულირების და საკანონმდებლო ნორმები უკვე არსებულ და

მომავალში ფართოდ გავრცელებად კონვერგენციის მოთხოვნებს; შესასწავლია ფიქსირებული-მობილური კონვერგენციისათვის მოსამზადებელი ბაზა და მოსამზადებელია შესაბამისი პლატფორმა. შესწავლის შემდეგ, შესაბამისობაშია მოსაყვანი რეგულირებისა და საკანონმდებლო ნორმები.
კომისიის ძალისხმევა მიმართული იქნება სამაუწყებლო ბაზარზე კონკურენციის განვითარების, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის, კონვერგენციის ხელშეწყობისკენ.

მიზანი 6: ტარიფების რებალანსირება

კომისიაში რამდენიმე წელია მიმდინარეობს მუშაობა სატელეკომუნიკაციო დარგში მომსახურების სახეებზე ტარიფების ოდენობების რებალანსირების თაობაზე. რებალანსირების ამოცანის გადაჭრა გულისხმობს ოპერატორების მიერ გაწეული საცალო ასევე ურთიერთჩართვის მომსახურების სახეებზე დანახარჯების განაწილებას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, აგრეთვე, სუბსიდირების აღმოფხვრას და ეფექტური, კონკურენტუნარიანი სატარიფო ფასწარმოქმნის სისტემის ჩამოყალიბებას სატელეკომუნიკაციო დარგში. ტარიფების რებალანსირებისას ტარიფები ხარჯებზე ორიენტირებულია, რაც უზრუნველყოფს ბაზრის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

მიზანი 7: რეგულირების ეფექტურობის გაზრდა

რეგულირების ეფექტურობის გაზრდის მიზნით საჭიროა ერთიანი ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემის დანერგვა. აღნიშნული სისტემის ძირითადი მიზანია ავტორიზებული პირების და ლიცენზიის მფლობელების უწყებრივი რეესტრის წარმოების, მსურველი პირების საქმიანობის ავტორიზაციის, მათ მიერ საკუთარი საქმიანობის თაობაზე კანონითა და კომისიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან და მინიჭებული მარეგულირებელი უფლებამოსილებების განხორციელებათან დაკავშირებით მოთხოვნილი სტატისტიკური ინფორმაციის (განზოგადებული მაჩვენებლების) მიწოდების ეფექტურობის ორგანიზება.
ზემოხსენებული საქმიანობა მოიცავს სამ ეტაპს:

- ავტორიზებული პირების უწყებრივი რეესტრის მონაცემთა ბაზების, მათი შევსების, მართვისა და სამომხმარებლო ინტერფეისების მოდულის შემუშავება და დანერგვა
- ავტორიზაციის ავტომატიზირებული ფორმატის შემუშავება, რაც გულისხმობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზაციის სახეების განსაზღვრას და ავტორიზაციის პროცედურების ავტომატიზაციას
- ავტომატიზირებული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შემუშავება.

მიზანი 8: საქართველოს კომუნიკაციების კომისიის მუშაობის მოდერნიზაცია

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ითავისებს მასზე დაკისრებულ დიდ პასუხისმგებლობას ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირების საქმეში. გამომდინარე იქიდან, რომ კომისიის რეგულირების სფეროს წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაცია, ყველაზე სწრაფად განვითარებადი და ცვლადი დარგი და იმისათვის, რომ კომისია თავის საქმიანობაში იყოს მუდმივად ეფექტური, შედეგებზე ორიენტირებული, ინოვაციური, იგი მუდმივად უნდა იცვლებოდეს და ვითარდებოდეს მოთხოვნის შესაბამისად. კომისია არა მარტო უნდა პასუხობდეს ბაზარზე შექმნილ მოთხოვნებს, არამედ თავად უნდა უბიძგებდეს მომხმარებლებს მოთხოვნის შექმნისაკენ.

კომისია თავის საქმიანობაში უნდა გახდეს უფრო ეფექტური, ეფექტიანი,? მოქნილი და ანალიტიკური; იგი უფრო ღია და გახსნილი უნდა გახდეს დისკუსიისათვის, რომელიც მზად არის დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს მათთვის საჭირო და მის კომპეტენციაში არსებული ინფორმაცია.

„რეიტინგი„
„RATING„ AUDIT FIRM
აუდიტორიული ფირმა
0160. თბილისი.
ვაჟა-ფშაველას გამ. №16. მე-13 სართული
ტ. 37-49-38. მობ. 899-56-68-13. www.auditfirm.ge

საქართველოს
პარლამენტთან
არსებული
აუდიტორიული საბჭო

№ 10-2/02 «07» აპრილი 2010 წ.

აუდიტორული დასკვნა

2010 წლის 27 მარტიდან 07 აპრილამდე, (თანახმად 2010 წლის 26 მარტის ხელშეკრულებისა) აუდიტორულმა ფირმა „რეიტინგმა" ჩაატარა „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" 2009 წლის ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება.

საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" მე-14 მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობა ბუღალტრული ანგარიშგების სწორად შედგენაზე აკისრია „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"-ს ხელმძღვანელობას, ჩვენი მოვალეობა, რომ აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოვხატოთ ჩვენი აზრი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე და გავცეთ ასს 700 შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტორული შემოწმება საყოველთაოდ მიღებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მოითხოვს აუდიტის ისეთნაირად დაგეგმვას და ჩატარებას, რომ საიმედო გარანტია გვქონდეს დასკვნისთვის რომ ბალანსი არ შეიცავს არასწორ ცნობებს. აუდიტი მოიცავს, აგრეთვე, იმ მინაცემების შემოწმებას, რომლებიც ადასტურებენ ბალანსის ჯამურ მაჩვენებლებს, აღრიცხვის გამოყენებული პრინციპების განხილვას, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული შეფასების შედეგებს და ბალანსის შესწავლას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბალანსის შედგენილია იმ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ საქართველოში ბუღალტრლ აღრიცხვას და ანგარიშგებას.

2009 წლის საბუღალტრო და ფინანსური დოკუმენტები, ძირითადად ხორციელდებოდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების, საყოველთაოდ მიღებული პრინციპების შესაბამისად. იგი ყველა არსებითი მხარით წარმოგვიდგენს „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" ფინანსურ მდგომარეობას 2010 წლის 01 იანვრისთვის.

საქართველოს
პარლამენტთან
არსებული
აუდიტორული
საქმიანობის საბჭო
სერტიფიკატი
№ 5/095

აუდიტორული ფირმა „რეიტინგი„-ს
დირექტორი
ირაკლი ჯალალიშვილი

აუდიტორული ფირმა „რეიტინგი" AUDIT FIRM "RATING"

ლიცენზია №224
ლიცენზია №175
სერტიფიკატი №4№081